ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 20
(11 477)

13 – 15 მარტი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობა დასახელდა



აი, ვინა არიან მიწვეულნი რუმინელებთან მატჩის წინ შეკრებაზე გერმანიაში: *მეკარეები* – დავით გვარამაძე და ირაკლი ზოიძე (ორივე – ტორპედო); *მცველები* – ზურაბ ხიზანიშვილი (დანდი), ლევან კობიაშვილი (ფრაიბურგი), კახი კალაძე (მილანი), ლევან სილაგაძე, სევასტი თოდუა, რევაზ ქემოკლიძე (ყველა – ტორპედო); *ნახევარმცველები* – გიორგ ნემსაძე (დანდი), ალექსანდრე რეხვიაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი (ორივე – სკონტო), გიორგი ქინქლაძე (დერბი), თემურ ქეცბაია (ვულვზი), გოჩა ჯამარაული (ციურიხი); *თავდამსხმელები* – მიხეილ ყაველაშვილი (ციურიხი), მიხეილ აშვეთია (ტორპედო), არჩილ არველაძე (კიოლნი), შოთა არველაძე (აიაქსი), ზაზა ჯანაშია (ლოკომოტივი, მოსკოვი), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი).

საქართველოს ნაკრები გერმანიიდან 26 მარტს დაბრუნდება თბილისში.

## იზორია და ჭარხალაშვილი



ადრე ვიუწყებოდით საქართველოს ჩემპიონატზე 18 წლამდე ახალგაზრდებს შორის. ახლა კი დამთავრდა ასეთივე შეჯიბრება 20 წლამდე ჭაბუკებსა და ქალიშვილთა მონაწილეობით. ამასთან, ცნობილი იყო, რომ გამარჯვებული ჭაბუკი ამავე ასაკის მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშებდა, მეორე ადგილზე გასული კი ევროპის პირველობაზე, ცხადია, ქალიშვილიებიც იგივე საგზურებს მიიღებდნენ.

ჭაბუკთა შორის ისევე, როგორც 18-წლიანთა შეჯიბრებაში კვლავ საერთაშორისო ოსტატმა ზვიად იზორიამ (ხონი) გაიმარჯვა. მან 9 შესაძლებლიდან დაუმარცხებლად მოაგროვა 7,5 ქულა. ჩემპიონს თითო ქულით ჩამორჩნენ მერაბ გაგუნაშვილი და დავით არუთინიანი, მაგრამ გაგუნაშვილის უკეთესი დამატებითი მონაცემები აღმოჩნდა და მეორე ადგილიც მას მიეკუთვნა.

ქალიშვილების შეჯიბრებაში 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით პირველ ადგილზეა საერთაშორისო ოსტატი ინგა ჭარხალაშვილი (ქუთაისი), მას ნახევარი ქულით ჩამორჩა საერთაშორისო ოსტატი ანა მათნაძე (თელავი). კიდევ ერთმა თელაველმა, საერთაშორისო ოსტატმა ლელა ჯავახიშვილმა 6,5 ქულით მესამე ადგილი დაიკავა.

## გუშინ გადაწყდა: შაბათს, 17 მარტს, საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები „ევროპის ერთა თასზე“ მეოთხე ტურის მატჩში ესპანელებს რუსთავში უმასპინძლებს.

7

## საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

3

გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 20 | 16 | 2 | 2 | 35-7 | 50 |
| ტორპედო | 19 | 13 | 4 | 2 | 31-7 | 43 |
| დინამო (თბ.) | 20 | 13 | 3 | 4 | 47-19 | 42 |
| ვიტ ჯორჯია | 20 | 10 | 6 | 4 | 28-14 | 36 |
| კოლხ.-1913 | 20 | 8 | 6 | 6 | 21-16 | 30 |
| მერანი-91 | 19 | 7 | 7 | 5 | 20-19 | 28 |
| დინამო(ბთ.) | 20 | 7 | 4 | 9 | 28-27 | 25 |
| სიონი | 20 | 6 | 4 | 10 | 15-28 | 22 |
| თსუ | 20 | 5 | 3 | 12 | 19-35 | 18 |
| გორდა | 20 | 3 | 9 | 8 | 15-25 | 18 |
| დილა | 20 | 4 | 3 | 13 | 13-39 | 15 |
| იბერია | 20 | 0 | 3 | 17 | 3-39 | 3 |




## „ბასკო“ მომავალ კვირას ითამაშებს შვედეთში

ბათუმის „ბასკო“ „ჩელენჯ კაპის“ მორიგ რაუნდში D ჯგუფში იასპარეზებს ქ. სოდერტალში (შვედეთი). 18 მარტს მისი მეტოქე იქნება ლიტვის ქალაქ ელიტას გუნდი. მეორე ნახევარფინალში ადგილობრივი სოდერტალის გუნდი და დანიის „ჰელდერი“ ითამეშებენ. 20 მარტს ჯერ დამარცხებულები, შემდეგ კი გამარჯვებულები შეხვდებიან ერთმანეთს.




### პირველი ექვსეული

10.03 აზოტი — სტუ 93:78
10.03 მაკაბი — შევარდენი 86:78
11.03 სტუ — თსუ 96:89
11.03 აზოტი — შევარდენი 70:61
12.03 აზოტი — თსუ 90:88
12.03 მაკაბი — სტუ 89:74

### მეორე ექვსეული

10.03 ქუთაისი — სსუ 69:68
10.03 დინამო — ბპკ 82:73
11.03 სსუ — ბპკ 74:51
11.03 დინამო — ქუთაისი 86:68
12.03 ბპკ — ქუთაისი 75:62
12.03 დინამო — სსუ 77:56

მორიგი ტური 15 მარტს გაიმართება.

## 2 სვანეთის „მართვეები“ ბაკურიანში აფრინდნენ

## სურკისმა, ქართველები სულსწრაფები არიანო...

ამ დღეებში უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, იმავდროულად კიევის „დინამოს“ თავკაცმა გრიგორი სურკისმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც ჟურნალისტებმა სინანული გამოთქვეს გუნდიდან კახი კალაძის და გიორგი დემეტრაძის წასვლის გამო.

4

## სამბოში ნოდარ ექვთიმიშვილი კვლავ შეინარჩუნა




ზოგიერთი ფედერაციისაგან განსხვავებით და ერთეულ ფედერაციათა მსგავსად, სამბოს სამყარომ კიდევ ერთხელ გამოუცხადა ნდობა ეროვნული ფედერაციის თანამდებობაზე ნოდარ ექვთიმიშვილის ულტერნატივო კანდიდატურას. ამ კაცმა მართლაც ბევრი გააკეთა ქვეყანაში სამბოს განვითარებისთვის.

ვიცე-პრეზიდენტებად ყრილობამ აირჩია ნოდარ ვალვენაშვილი და ვასილ სიდამონიძე, გენერალურ მდივნად — თენგიზ არაბული. უფროს მწვრთნელად ერთხმად კვლავ ოლეგ იაძე დამტკიცდა.

## რატომ არიან „მაფიოზები“ 2

## საქართველოს წყალმხტომელები?



## სოლტ ლეიკ სიტი – 2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი

2



## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

**კრივი.** გუშინ, რუმინეთის კრივის ფედერაციამ (FRB) წლეულს ივნისში დუბლინში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა აუკრძალა ოლიმპიური თამაშების და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორებს ძმებს დორელ და მარიან სიმიონებს. ფედერაციამ ისინი დასაჯა იმის გამო, რომ არ იასპარეზეს რუმინეთის თასზე. ეს გადაწყვეტილება მოიწონა რუმინეთის სპორტის სამინისტრომ და ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა.

**ველორბოლა.** გუშინ, „პარიზი-ნიცას“ მრავალდღიანი ველორბოლის ეტაპი სენტ-ამანტა და კლერმონ-ფერანს შორის (189,2 კმ) მოიგო ბელგიელმა ფაბიენ დე ვალემ.

**ჩოგბურთი.** გუშინ, გამოქვეყნდა მსოფლიოს საუკეთესო ვაჟ ჩოგბურთელთა რეიტინგი. კაფელნიკოვმა მე-6 ადგილზე გადაინაცვლა 52 კვირის შედეგებით.

**ფიგურული ციგურაობა.** მსოფლიო ჩემპიონატის წინ გამოქვეყნდა რუსეთის ნაკრების შემადგენლობა, რომელთა შორის კვლავ მოხვდა ელენა ბერეჟნაია — ანტონ სიხარულიძის წყვილი.

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

**მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 5 თვე დარჩა**

SALT LAKE 2002

TM ® 1997 SLOC 36 USC 380

**ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს 10 თვე და 25 დღე გვაშორებს**

**8–24 თებერვალი 2002 წ.**

## სოლტ-ლეიკი 2002-მდე არც ისე შორსაა

აშშ-ს მთიანი დასავლეთის შტატ იუტას დედაქალაქი სოლტ-ლეიკ-სიტი, რომელიც მერმის ზამთრის ოლიმპიადას უმასპინძლებს, ამთავითვე რეკორდსმენად შეიძლება აღიარონ, თანაც რამდენიმე მაჩვენებლით. თეთრი ოლიმპიადა არასდროს ჩატარებულა მილიონნახევრიანი მოსახლეობის ქალაქში, არც ასეთი კომპლექსური შეჯიბრება მიუღია ორმილიონიან (იუტას შტატი იგულისხმება) რეგიონს, რომლის მცხოვრებთა საშუალო ასაკი 26,7 წელია, ხოლო მოსახლეობის 90 %-ს უმაღლესი განათლება აქვს – ყველაზე მაღალი – ამერიკაში. და კიდევ იქ, სპორტსმენებს „ოქრო-ვერცხლისა“ და „ბრინჯაოს“ „მოპოვება“ ბევრად დაასწრო ადგილობრივ შახტების მეპატრონე 24-მა მომავალმა მილიონერმა. ამასთან, ეს ზამთრის საკურორტო ქალაქი ძალზე პოპულარულია, აქაური საერთაშორისო აეროპორტი წელიწადში 21 მილიონ მგზავრს ემსახურება.

სოლტ-ლეიკ-სიტი ზღვის დონიდან 1320 მეტრზეა. ქალაქი ტაფობშია მოქცეული, ერთის მხრივ უოსატჩის ქედი აკრავს, მეორეს მხრივ ოკერის მთიანეთის მწვერვალები. თებერვლის, როცა თამაშები ჩატარდება, საშუალო ტემპერატურა ქალაქში 3°-ს არ აღემატება. მთებში, რა თქმა უნდა, ტემპერატურა უფრო დაბალია და თოვლიც მეტია. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მორმონის რელიგიური სექტის წარმომადგენელია, რომლებიც აქ მე-19 საუკუნის I ნახევარში დასახლდნენ. მორმონები ქრისტიანობას ამოფარებული ინდიელთა დესტრუქციული წარმართული ტოტალიტარული სექტაა, მათი სწავლების ერთ-ერთი ძირითადი წყარო ბიბლიაც არის.

ამერიკელებს, რა თქმა უნდა, კარგად ახსოვთ საკმაოდ უღიმღამოდ ჩატარებული 1996 წლის საზაფხულო ოლიმპიადა ატლანტაში და არ აპირებენ, რომ კვლავ საქვეყნოდ შეირცხვინონ თავი, რადგან თუ ამჯერადაც თამაშები რაიმე ექსცესებით წარიმართება, ქვეყანა უახლოეს ათ-ოც წელიწადს ვერ ეღირსება დიდ შეჯიბრებას. ეს კარგად ესმის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელობას. თამაშებზე პირველად იმუშავებს ერთიანი პრეს-ცენტრი (MMC). ჟურნალისტებს მოემსახურება 300 ავტობუსი. მთავარ პრეს-ცენტრსა და მის განყოფილებებს შორის 15 წუთის სავალი იქნება ავტობუსით.

სამთო მეთხილამურეებს მოემსახურება 15 ბაგირ-სავარძელი. ციგურაობის და ფიგურული ციგურაობის ყველა დღის ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია. რაც შეეხება ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის ცერემონიას, იგი ჩატარდება იუტას 6000-იან სტადიონზე, რომლის ბილეთების ფასი ადგილისა და რიგის მიუხედავად, 885 დოლარია, ამ სანახაობაზე დასწრების სურვილი გაცილებით მეტმა გამოთქვა, ამიტომ გადაწყვიტეს ორჯერ გაადიდონ მაყურებლების ტევადობა სტადიონზე.

თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა. საქართველოს პირველობა

## სვანეთის „მართვეები“ ბაკურიანის ცაში გამოჩნდნენ

ამ რანგის შეჯიბრება, დიდი ხანია ჩვენში არ ჩატარებულა. თანაც ახლანდელი პირველობა, საერთოდ ამ საუკუნის პირველი ოფიციალური შეჯიბრება იყო ბაკურიანში. ადგილობრივ მხტომელებთან ერთად, მცირე ტრამპლინიდან (დიდმა ტრამპლინებმა ფუნქცია დაკარგა) ასპარეზობაში ჩაებნენ სვანეთიდან ჩამოსული ჭაბუკები იქაური სპორტსკოლის დირექტორის ვალერი ფანჯიანის და მისი ძმის, ყოფილი მკლავჭიდელის კობა ფანჯიანის თაოსნობით. მათი სტუმრობით გულით გაიხარეს ბაკურიანელებმა. სათხილამურო სპორტში კარგად ცნობილი პიროვნებები მხარში დაუდგნენ კობა წაქაძეს. ბადრი მიქაბერიძემ მესტიელებს სასტუმრო დაუთმო, ოთარ ხვედელიძემ კვებით უზრუნველყო სტუმრები, უკან გაბრუნებისას კი ბაკურიანელებმა საწვავითაც უზრუნველყვეს მათი ტრანსპორტი.

შეჯიბრებამდე ხუთი დღით ადრე ჩავიდნენ სვანები ბაკურიანში. აქედან 4 დღე კობა წაქაძე უტარებდა გაკვეთილებს ჭაბუკ მხტომელებს, რაც მათ ცხოვრებაში ღირსსახსოვარ მოვლენად დარჩება. შეჯიბრებებს მაყურებელიც დანატრებულა — უამრავი ბაკურიანელი თუ დამსვენებელი ადევნებდა თვალს „მართვების“ გაბედულ ფრენას. სტუმრებმა საპრიზო ადგილი ვერ მოიპოვეს, არცაა გასაკვირი, ეს ხომ მათი პირველი ასპარეზობა იყო ოფიციალურ შეჯიბრებაში. პრიზების სიუხვეც იგრძნობოდა — თავად ბაკურიანელებმა დაუწყვეს ისინი პირველობის ორგანიზატორებს ღია ცისქვეშ დადგმულ სამუშაო მაგიდაზე. ერთიც აშკარად შეიმჩნეოდა — სპორტსმენები განიცდიან ინვენტარის ნაკლებობას, რაკი ყინული დაიძრა, იქნებ ეს პრობლემაც მოგვარდეს.

**შედეგები:** 1. ლევან კოზანაშვილი — 156,5 ქულა, 2. გიორგი წ[illegible]ლაური — 155, 3. მალხაზ ს[illegible]ტიშვილი — 149 (სამივე — ბაკურიანი), 4. გოგა ასურბანი — 136,5. 5. ბორის კვანჭიანი — 139,5, 6. ბადრი ფანჯიანი — 128 (სამივე — მესტია).

**სოფიკო ხეთაგაშვილი,**
ბაკურიანი. „ლელოს“ საკ. კორ.

## „ქართველი სპორტსმენები „მაფიოზები“ ხართ...“

**ამას ამბობს ბერძენი მწვრთნელი, რომელიც გაოცებული დარჩა უწყლოდ, დარბაზში ნავარჯიშებ საქართველოს წყალში მხტომელებზე**

ბარემ იმასაც გეტყვით, სად და როდის ითქვა ეს. ითქვა ათენში, ამ დღეებში იქ გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე, რომლის სახელწოდებაა „ვირჯინიის თასი“. და ითქვა მას შემდეგ, რაც ჩვენებმა, ყველას გასაოცრად, გუნდური მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს უძლიერეს სპორტსმენებთან პაექრობაში. უცხოელებმა კარგად იციან რა ყოფაშიც



ვართ, რა პირობებში ვარჯიშობენ ჩვენი წყალში მხტომელები. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ბოლო 5 თვეა საქართველოს ნაკრები წყალზე ვარჯიშის ნაცვლად, სპორტულ დარბაზში ემზადებოდა. იმ ბერძენ მწვრთნელს ისიც დაუმატებია: „წუწუნებთ, რომ არ გაქვთ ვარჯიშის პირობები, ჩამოდიხართ და კარგად გამოდიხართ, მედლებსაც იგებთ, დიახ, ნამდვილი „მაფიოზები“ ხართ!“ დაუმატეთ ყველაფერს ისიც, რომ ჩვენებმა ვერა და ვერ გაარღვიეს ნამდვილი მაფიოზების მოჯადოებული წრე — ვაჟთა შეჯიბრებებზე ვერ გაიყვანეს მსაჯი, გოგონებში, კი ბატონო, — იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ გოგონები ჯერ არ არიან იმ დონეზე მომზადებულნი, რომ საერთაშორისო შეჯიბრებებზე იასპარეზონ.

ტურნირში სამ ასაკობრივ ჯგუფში ასპარეზობდნენ ბიჭები და გოგონები. ბიჭების გუნდურ პირველობაში ჩვენები მესამე ადგილზე გავიდნენ ეგვიპტისა და საბერძნეთის წარმომადგენლების შემდეგ და უკან ჩამოიტოვეს 9 ქვეყნის გუნდი, მათ შორის რუსეთის, იტალიის (ევროპის ჩემპიონატის შარშანდელი პრიზიორი), ავსტრიის, იუგოსლავიის, ნორვეგიის, უნგრეთის, ხორვატიის გუნდები. საქართველოს ნაკრებში გოგონები არ იყვნენ და 0 ქულა დაეწერა, რამაც დიდი ზეგავლენა იქონია საერთო გუნდურ ჩათვლაზე. აქ ჩვენები 12 გუნდიდან მხოლოდ VII ადგილს დასჯერდნენ.

საქართველოს ნაკრებში ასპარეზობდნენ ვიტალი მამნიაშვილი (პირადში II ადგილი), ჭოლა ჭანტურია (პირადში II ადგილი), დავით ყვავაძე, კოტე ნანიტაშვილი და შოთა კორონაშვილი (მწვრთნელები ალექსანდრე და ირაკლი ბართაიები).

**ცოტნე ბაქრაძე**

*სურათზე: მარცხნიდან — დავით ყვავაძე, ჭოლა ჭანტურია, კოტე ნანიტაშვილი, ვიტალი მამნიაშვილი, მწვრთნელები მამაშვილი ალექსანდრე და ირაკლი ბართაიები.*

## სამი რჩეული რაიონის მოშაშეებმა უძლიერესი გამოავლინეს

შაში, როგორც ცნობილია, ყველასთვის ხელმისაწვდომი და პოპულარული სპორტის სახეობაა. ამ თამაშს, ცხადია, თბილისშიც ჰყავს მიმდევრები, განსაკუთრებით, მოზარდები. ისინი ერთმანეთს ხვდებიან სხვადასხვა რანგის შეჯიბრებაში, მათ შორის მოსწავლეთა თბილისის სპარტაკიადებში. გარშან, მაგალითად სპარტაკიადაში თავი ისახელეს ჩუღურეთის რაიონის მოსწავლეებმა ალექსი ალაზიშვილმა (31-ე სკ), და-ძმა ნათია და ბექა კაპანაძეებმა (26-ე სკ), ირაკლი მგალობლიშვილმა და სალომე ჯიმშიაშვილმა (23-ე სკ), ისნის რაიონიდან – სოფიკო ხაჩატუროვმა და ანა ბროლაძემ (84-ე სკ), უსინათლოთა სკოლის მოსწავლეებმა გელა ბუხაიძემ და მეგი გოშაძემ, ნაძალადევის რაიონიდან – გიორგი ხუბაშვილმა, თამუნა ბროლაძემ და ელენე წურწუმიამ (143-ე სკ), რუსუდან დვალიშვილმა და მიშიკო





ზაალიშვილმა (142-ე სკ), მთაწმინდის რაიონიდან – დათო შავთოშვილმა და კოტე კინწურაშვილმა (43-ე სკ), დიდუბის რაიონიდან – ნათია ჩაჩხიანმა (166-ე სკ).

ჩუღურეთის, ისნის და ნაძალადევის რაიონის რჩეული სპორტსმენები, ამას წინათ, ერთმანეთს შეხვდნენ 100 და 64-უჯრიან შაშში. უძლიერესი მათ შორის აღმოჩნდა ნაძალადევის რაიონის გუნდი, მეორე იყო ისნის, მესამე – ჩუღურეთის წარმომადგენლები. ყველაზე უმცროსი მონაწილე იყო 113-ე სკოლიდან – 6 წლის სანდრო თედეევი, რომელმაც ორივე პარტია მოიგო.

– სამწუხაროდ, ბოლო ხანებში შაშს ნაკლები ყურადღება ეთმობა, შესაბამისად იზღუდება პერსპექტივა, ფედერაციასაც უჭირს, არც კი ვიცით, ვის მივმართოთ – გულისტკივილით უთხრა „ლელოს“ კორესპონდენტს ცნობილმა მწვრთნელმა ზიტა დანელიანმა.



*სურათებზე: ზევით – რუსუდან დვალიშვილი და შალვა ფერაძე უკვე ცნობილი მოშაშეები არიან; ზიტა დანელიანი აღსაზრდელებთან.*

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა | 3. მაისურაძის ხსოვნის ტურნირი

## რჩეულნი 215-დან

ამ შეჯიბრებას სპორტის დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის სკოლა მასპინძლობს ტრადიციულად. ტურნირი მუდამ გამოირჩევა მონაწილეთა სიმრავლით, მაგრამ ამდენს ადრე არასდროს მოუყრია თავი — განსაკუთრებით რეგიონებიდან. შარშან საქართველოს პირველობა ამ ასაკში (1984-85 წწ) არ ჩატარებულა და გარკვეულწილად ახლა ამანაც განაპირობა მონაწილეთა მაღალრიცხოვნება — სულ 215 ჭაბუკი გამოვიდა ხალიჩაზე. მათ შორის იყო ოთარ ბაკურაძე, რომელმაც ამას წინათ ბორის გურევიჩის სახელობის საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა. ფინალურ შეხვედრებს მსაჯობდა ცნობილი ვეტერანი ფალავანი თემურ ყაზარაშვილი. ასპარეზობას სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ.

კვარცხლბეკი

**42 კგ:** 1. დავით ბექაური (ორს), 2. ლაშა გოგიტიძე (ქუთ. ლიც), 3. პაატა შავიძე (აჭარა), 4. ზაზა ნიკოლიშვილი (მარტყოფი); **46 კგ:** 1. დავით ლატარია (სენაკი), 2. თორნიკე ჯანელიძე (ქუთ. ლიც.), 3. ლაშა ტალახაძე (რუსთ), 4. ზურაბ საგინაძე (აჭარა); **50 კგ:** 1. მალხაზ სოლომონიძე (აჭარა), 2. ტარიელ ებრალიძე, 3. ვასილ ომანიძე (ორივე — თბ.), 4. კახა ჩხიკვაძე (ქუთ.); **54 კგ:** 1. დავით ბედინაძე (აჭ. ორს), 2. ილია გულბათაშვილი (თბ), 3. მანუჩარ ცხადაია (ხობი, ორს), 4. ლევან მუზაშვილი (რუსთ); **58 კგ:** 1. ტარიელ ჩადუნელი (ბორჯ. ორს), 2. მინდია გიორგაძე (აჭარა), 3. თამაზ გაბისონია (ხობი, ორს), 4. მალხაზ მარუაშვილი (მარტყოფი); **63 კგ:** 1. ირაკლი კოპალეიშვილი (აჭ. ორს), 2. მინდია ხიმშიაშვილი (აჭარა), 3. ლევან ზურაბიანი (ოზურგ.), 4. დიმიტრი ფოჩხაძე (ორს); **69 კგ:** 1. ოთარ ფევაძე (აჭ. ორს), 2. ომარ ბაკურაძე (აჭარა), 3. აკაკი ჯოხაძე, 4. შმაგი სალთხუციშვილი (ორივე — მარტყ); **76 კგ:** 1. ბექა ყარყარაშვილი (თბ), 2. ირაკლი მამალაძე (აჭ. ორს), 3. მამუკა მანჯგალაძე



ომარ ბაკურაძე

(აჭარა), 4. მამუკა მუმლაძე მამუკა (აჭ. ორს); **85 კგ:** 1. სოლომონ გიკაშვილი (თბ), 2. გელა გეწაძე (აჭარა), 3. ემზარ ტყეშელაშვილი (ქუთ), მიხეილ ჩაჩანიძე (აფხ); **100 კგ:** 1. ბერდია გერგედავა (ორს), 2. გია მორჩილაძე (თბ), 3. ამირან მარკოიშვილი (ორს), 4. ლევან ბიგანიშვილი (თბ).

**ცოტნე ბაქრაძე**

*რობერტ ბაბოიანის ფოტო.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# XX ტურის მიმოხილვა

## ინტრიგა ძლიერდება, ინტერესი იზრდება, მაყურებელსაც ეს უნდა

რა ხანია, ეროვნული ჩემპიონატი ეკვატორს გასცდა, მაგრამ უწინდელისგან განსხვავებით, ეს სეზონი უკიდურესი დაძაბულობით გამოირჩევა. თუ ადრე უმაღლესი ტიტულის ორიოდე მაძიებელი მხოლოდ ერთმანეთთან თამაშში „იდენდა ოფლს", ახლა სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. წარსულს ჩაბარდა ე.წ. გამსვლელი მატჩები, როცა ლიდერები მინდორზე მხოლოდ ფორმალურად გამოდიოდნენ, სათამაშო განრიგის შესავსებად. გუნდების კლასი ისე გათანასწორდა, წინასწარ ძნელია განჭვრიტო უმეტესი შეხვედრების შედეგი. მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება, ბოლო ტური მიმოვიხილოთ.

„გორდა" – „ტორპედოს" მატჩზე მოსული 4 ათასამდე გულშემატკივარი ორმაგი გრძნობით ადევნებდა თვალს, თუ როგორი შემართებით „ეომებოდა" ადგილობრივი გუნდი გათამაშების ფავორიტს. კი, კარგია, როცა პოტენციურად სუსტი შენიანი ასეთ წინააღმდეგობას უწევს ძლიერ მეტოქეს (ქუთაისელთა სასტარტო შემადგენლობაში ვიხილეთ საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების წევრები – ზოიძე, სილაგაძე, აბრამიძე, იმედაძე, თოდუა, დიდავა, ქემოკლიძე, აშვეთია, ასათიანი), მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე, მედალს მეორე მხარეც აქვს. ვთქვათ, ტორპედოელები მართლაც გახდნენ ქვეყნის ჩემპიონები, ასეთი სუსტი თამაშით შესწევთ კი ძალა ღირსეულად წარმოაჩინონ ქართული ფეხბურთი ჩემპიონთა ლიგის მომავალ გათამაშებაში?

გაცილებით ძლიერი მეტოქე ჰყავდა ჩემპიონობის სხვა მაძიებელს – „ლოკომოტივს". ფოთში მართლაც საინტერესო თამაში იხილეს გულშემატკივრებმა. მიუხედავად ნულოვანი შედეგისა, კმაყოფილნი ტოვებდნენ სტადიონს. ასე იყო ავჭალაშიც, სადაც თბილისის დინამოელებმა ორგოლიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს. იქნებ უკიდურესად დაძაბულ ორთაბრძოლაში მოპოვებულმა ამ ქულამ მოაპოვებინა მერანელებს მეექვსე ადგილი? თუმცა, ამთავითვე ვიტყვით, რომ თბილისელებს ეს ძალიან გაუჭირდებათ, ვინაიდან მეტოქეებად დარჩენილ მატჩებში ჰყავთ ძლიერნი ამა ქვეყნისა – „ტორპედო", „ლოკომოტივი" და უშუალო კონკურენტი – ბათუმის „დინამო", რომელსაც გაცილებით ხელსაყრელი სათამაშო კალენდარი აქვს.

დასასრულ, გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ „მერანისა" და „ტორპედოს" გამოტოვებული მატჩი 14 მარტს „სინათლის" სტადიონზე გაიმართება.

**მიმომხილველი**

## ტექნიკური შედეგები

### გორდა (რუსთავი) – ტორპედო (ქუთაისი) 1–1

***გორდა:*** ბედიაშვილი, ლაშა სილაგაძე, ბურნაძე, გელაძე, ბერიძე, ბექაური, თ. მეტრეველი, მელაძე (კიტეიშვილი, 78), კ. ალადაშვილი, ა. ჯელაძე (მიშველიძე, 68), ჯუღელი (სოხაძე, 89).
***ტორპედო:*** ზოიძე, ლევან სილაგაძე, აბრამიძე (იმედაძე, 53), ვაშაკიძე, თოდუა, დიდავა, ქემოკლიძე, არჩვაძე (გონჩაროვი, 67), ასათიანი, დ. ჯანაშია, აშვეთია.
***გოლები:*** 1-0 ბურნაძე (34), 1-1 იმედაძე (67).
***გააფრთხილეს:*** მეტრეველი.
***მსაჯი:*** ლევან ფანიაშვილი (თბილისი).

### იბერია – სიონი 0–2

***იბერია:*** ჩლაიძე, შ. ლაცაბიძე, ამისულაშვილი, მიქელთაძე, ძამსაშვილი (სანიკიძე, 46), გაგუა (ლ. ხმალაძე, 77), ხიზანიშვილი, გულორდავა (კვიციანი, 46), ნინუა, თარგამაძე, კაჭარავა.
***სიონი:*** ვოლკოვი, მინდიაშვილი, სიდამონიძე, ირემაშვილი, სოლოღაშვილი, მ. გოგოლაძე, ბ. შენგელია, მოსეშვილი (ასპინძელაშვილი, 46), ისიანი, დავითაშვილი (კ. მეტრეველი, 79), გაბისონია.
***გოლები:*** დავითაშვილი (5), გაბისონია (53).
***გააფრთხილეს:*** გაგუა, ნინუა, სიდამონიძე, სოლოღაშვილი.
***მსაჯი:*** დ. სანაია (სოხუმი).

### მერანი – დინამო (თბ) 2–2

***მერანი:*** ნაჭყეპია, გოგიტაძე, გუჯაბიძე, დავითნიძე, ცქიფურიშვილი (ბოლქვაძე, 46), ხუჯაძე (კოშკაძე, 46), ჩხაიძე, დევიძე, კვეკვესკირი. მინაშვილი, დ. გოდერძიშვილი.
***დინამო:*** გრიშიკაშვილი (ბათიაშვილი, 46), შაშიაშვილი, ზამთარაძე (ჩივაძე, 46), ა. სახვაძე (აფციაური, 46), მაზიაშვილი, მანწკავა, კანდელაკი, ბურდული, სვანაძე, მიქაძე, ზირაქიშვილი.
***გოლები:*** ზირაქიშვილი (23,28), გოდერძიშვილი (67,73).
***გააფრთხილეს:*** მინაშვილი, გოდერძიშვილი, მიქაძე.
***გააძევეს:*** მიქაძე.
***მსაჯი:*** ა. კრიჭაშვილი (თბილისი).

### დილა – დინამო (ბთ) 0–4

***დილა:*** ილურიძე, აკოფიანი (გრიგალაშვილი, 74), ხაჭაპურიძე, გ. ჩიტაია (კოტორაშვილი, 46), ლ. გოჩაშვილი, თაყაძე, ლომიძე, ეჯოშვილი (ერაძე, 68), ხორგუაშვილი, ა. ხმალაძე, საყვარელიძე.
***დინამო:*** ჰანტურია, ი. მახარაძე, მინდაძე, პაპიძე, მეავანაძე, გელა ქორიძე, ღლონტი, დარჩიძე (ტუღუში, 68), მაჭუტაძე (ყულეჯიშვილი, 80), აფხაზავა (რომანაძე, 68). ა. მუჯირი.
***გოლები:*** ქორიძე (50), ღლონტი (52), მუჯირი (72, პ.), მაჭუტაძე (76).
***გააფრთხილეს:*** ილურიძე, აკოფიანი, ეჯოშვილი, ჭანტურია.
***გააძევეს:*** ხმალაძე, პაპიძე.
90-ე წუთზე პენალტი ვერ გამოიყენა საყვარელიძემ.

### ვიტ ჯორჯია – თსუ 2–0

***ვიტ ჯორჯია:*** მერლანი, ინწკირველი, საჯაია, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი (გოცირიძე, 46), ლ. ნოზაძე, გოგობერიშვილი, დიღმელაშვილი, ყიფიანი, გიორგი ქორიძე (ადამია, 79), წუწუნავა (დოლიძე, 70).
***თსუ:*** მამარდაშვილი, ჯობავა (ბ. ნოზაძე, 46), ხარებავა (ლობჟანიძე, 87), ებრალიძე, ბერიანიძე, არეშიძე, შოშიაშვილი (არჩვაძე, 85), დათუნაიშვილი, ახალაძე, მერაბიშვილი, ქვრივიშვილი.
***გოლები:*** ქორიძე (35), გოცირიძე (72).
***გააფრთხილეს:*** ახალაძე, დათუნაიშვილი.
***მსაჯი:*** მ. მაისურაძე (თბილისი).

### კოლხეთი – ლოკომოტივი 0–0

***კოლხეთი:*** ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, ქობულაძე, კვირკველია, ღლანიძე (ხუროძე, 62), აკობია (ჭანტურიძე, 79), მუმლაძე, ფანჩულიძე, ე. გვასალია, წივწივაძე.
***ლოკომოტივი:*** ლომაია, ბალაშვილი, გილაური, შელია, ცხადაძე, სალუქვაძე, კვარაცხელია, ჰიჰვეიშვილი (დათვაძე, 46), ანჩაბაძე, გოგიჩაიშვილი (გ. შენგელია, 78), რუსია (პარამონოვი, 60).
***გააფრთხილეს:*** გვასალია, მუმლაძე.
***მსაჯი:*** მ. მალაღურაძე (თბილისი).

## ფეხბურთში აურზაური არაფრის გამო არ ხდება

დიახ, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი თანდათანობით იძაბება და, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მეტნაკლებად საყურადღებო ექსცესებიც ხდება, დიდად შემაშფოთებელი და საგანგაშო არაფერია. იდეალური წესრიგი კი არა, პროვოკაციებს და სიმულაციებს ვუცქერით გამუდმებით ტელეეკრანებზე მსოფლიოს მოწინავე საფეხბურთო ქვეყნებიდან გადმოცემულ ტელერეპორტაჟებში. ამ პროცესს ჩვენც უნდა ავუბათ მხარი, ამას არ ვამბობთ, მაგრამ წმინდა საფეხბურთო ცხოვრებიდან გამომდინარე, რაღაც-რაღაცეებს მართლა ვერ ავუვლით გვერდს.



„მერანი" – „დინამო" (თბ.). ერთ მომენტში საქმეში პოლიციაც ჩაერია...

ეროვნული ჩემპიონატის გასულ ტურში დიდი აურზაური ატყდა „სინათლის" სტადიონზე, სადაც „მერანი" „დინამოს" მასპინძლობდა. დაძაბული პაექრობა მხოლოდ ფინიშის მოახლოებამ როდი განაპირობა, „დინამოს" თავისი ტრადიციებიდან გამომდინარე, მუდმივი ამბიციები აქვს, იქ ახლა მერანელებზე უფრო ახალგაზრდა და მათთან შედარებით გამოუცდელი ფეხბურთელები თამაშობენ, „დინამოს" ძლევით კი ყველა კლუბი თავის ისტორიას გაილამაზებს, ცხადია, თუკი ამას მიაღწევს. აი, ეს ინტერესები შეეჯახა ამ მატჩში ერთმანეთს, უკმაყოფილების მიზეზი ერთი ეპიზოდი იქცა. იყო თუ არა თამაშგარე მდგომარეობა, რა თქმა უნდა, იმ წუთებში ძნელი გასარჩევი იყო, შემდეგ კი სპეციალისტებმა ერთხმად დაასკვნეს, რომ მსაჯი არ შემცდარა, იგივე დაადასტურა ვიდეოფირმა. თუმცა, მცირედი ლაფსუსები ამ და სხვა მატჩებშიც იყო, რაზედაც სფფ-ს შესაბამისმა კომიტეტმა, როგორც წესი, მათ მიუთითა. გორში, ამ ტურში დაფიქსირებული ორი გაძევებაც არ ყოფილა უმიზეზო, ხშირად ფეხბურთელები ხდებიან ხოლმე აურზაურის წამომწყები. გორში მატჩიც კი შეწყდა რამდენიმე წუთით. თუმცა, მეტოქე გუნდების მწვრთნელებს მსაჯებისადმი პრეტენზიები არ წაუყენებიათ.

„მსაჯობის დონის და მსაჯთა პასუხისმგებლობის ამაღლების პროცესი შეუქცევადია, ვისაც სურს, ამას ხედავს, ჩვენ აღარ დავუშვებთ ლოიალობას, კონკურენცია დიდია და ნებისმიერი მსაჯის ჩანაცვლება შეგვიძლია ნებისმიერ დროს" – აცხადებს სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის უფროსი ანატოლი მილჩენკო.

ხმაურმა და აურზაურმა ეროვნულ ჩემპიონატში მთავარია საერთო ინტერესები არ დააზარალოს. ისე კი, დაე, იყოს ჯანსაღი დაძაბულობა ეროვნულ ჩემპიონატში.

## სანაკრებო სამზადისი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუშინ სასტუმრო „მესაზღვრეში" შეიკრიბა და ასკ-ს სტადიონზე პირველი ვარჯიში ჩაატარა. გუნდი დღეს 13 საათზე ივარჯიშებს „შევარდენზე" და მეზობლების ჩამოსვლას დაელოდება.

რაც შეეხება ჩვენს მეტოქეს, აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ნაკრებს, იგი თბილისში დღეს ჩამოვა. სასტუმრო „მონოპოლში" დაბინავდება, „შევარდენზე" კი 17 საათზე ივარჯიშებს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის ოლიმპიურ ნაკრებთან ამხანაგური მატჩი 14 მარტს, 13 საათზე „შევარდენზე" გაიმართება. შეხვედრას ქართველი მსაჯები მოემსახურებიან.

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართვა

**ძვირფასო მეგობრებო!**
**ფეხბურთის გულშემატკივრებო!**

**28 მარტს საქართველოს ეროვნული გუნდი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში უმნიშვნელოვანეს მატჩს გამართავს რუმინეთის ნაკრებთან.**

**თითოეული ჩვენგანი მოუთმენლად ელის ამ შეხვედრას, რომლის წარმატებით ჩატარება საქართველოს ეროვნული ნაკრების წინსვლის საწინდარი გახდება შესარჩევ ციკლში. ამისთვის კი საჭიროა გუნდის სიძლიერესთან და ორგანიზაციასთან ერთად სტადიონზეც სრული წესრიგი სუფევდეს, რაშიც თქვენი თანადგომის იმედი გვაქვს...**

**მოგეხსენებათ, რუმინელებთან მატჩისთვის ფიფასა და უეფას კატეგორიული მოთხოვნის შესაბამისად, სფფ-ს უფლება აქვს სარეალიზაციოდ გასცეს მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალური სკამებისთვის განკუთვნილი ოცი ათასი ბილეთი და აბონემენტი. ჩვენ გვესმის, რომ სტადიონზე მისვლის მსურველი გაცილებით მეტია, ამიტომაც გავიღეთ დამატებითი ხარჯები და საქართველოს ტელევიზიასთან ერთად, პირველ არხზე მატჩის პირდაპირი ტელეტრანსლირების უფლება გამოვისყიდეთ. გვსურს კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი იმ ფაქტს, რომ სტადიონზე მხოლოდ და მხოლოდ ოცი ათასი ადგილია და თამაშზე უნდა მოვიდეს ის გულშემატკივარი, რომელსაც ბილეთი ან აბონემენტი ექნება.**

**წინააღმდეგ შემთხვევაში განმეორდება უკრაინის ნაკრებთან მატჩის დროს მომხდარი ინციდენტი, როდესაც მხოლოდ ექვსი ათასი ბილეთი გაიყიდა და ტრიბუნაზე ხუთჯერ მეტი გულშემატკივარი მოთავსდა. ამის გამეორება დაუშვებელია, რადგან თუკი რუმინეთთან გაყიდული ბილეთების რაოდენობა არ დაემთხვა სტადიონზე მოსულ გულშემატკივართა რიცხვს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მკაცრი საჯარიმო და ფულადი სანქციები არ ასცდება. სტადიონს მიეცემა დისკვალიფიკაცია. საქართველო კი კარგა ხნით დაემშვიდობება დიდ ფეხბურთს...**

**სფფ-მ გადაწყვიტა ბილეთები და აბონემენტები გასაყიდად 10 მარტიდან გამოუშვას. თამაშის დღეს კი სტადიონზე ბილეთები არ გაიყიდება.**

**ძვირფასო გულშემატკივრებო! კიდევ ერთხელ გთხოვთ, მხარში ამოუდგეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, უბილეთოდ ნუ მოხვალთ სტადიონზე, ნუ შექმნით ზედმეტ პრობლემებს და ნუ დავუკარგავთ საქართველოს ნაკრებს შესაძლებლობას შინ ჩაატაროს არანაკლებ მნიშვნელოვანი დარჩენილი სამასპინძლო მატჩები იტალიასთან, ლიტვასთან და უნგრეთთან...**

**თქვენი თანადგომის იმედი გვაქვს!..**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

გსურთ სამ თვეში უცხო ენის შესწავლა?
მიაკითხეთ „ელიტა სკ"-ს. ენის საუკეთესო სპეციალისტები შეგასწავლიან ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, თურქულ და რუსულ ენებს.
გაიცემა სერთიფიკატები
გსურთ კომპიუტერის შესწავლა?
მიაკითხეთ „ელიტა სკ"-ს
„ელიტა-სკ" საერთაშორისო კორპორაცია Es Vita Inc-თან ერთად ენის დახვეწის და პრაქტიკის მიზნით აგზავნის სკოლის მოსწავლეებს და სტუდენტებს მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის განვითარებულ ქვეყნებში.
ERC
„ელიტა სკ"
ELITE-RC CO.LTD
უცხო ენების და კომპიუტერის სწრაფი კურსები
თბილისი-380077, ვაჟა-ფშაველას 44 (მ. დელისი), ტელ.: 39-87-25,
E-mail: erc@ti.net.ge
www.elite-RC.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სურკისმა, ქართველები სულსწრაფები არიანო...

(პირველი გვერდიდან)

**აი, რა თვალსაზრისი გამოთქვა ამასთან დაკავშირებით სურკისმა.**

— როდესაც კახა კიევში ჩამოვიდა, 18 წლისა იყო. მან პირდაპირ განმიცხადა — თუ ლობანოვსკის გუნდში თამაშის შესაძლებლობა არ მიეცემოდა, საერთოდ დაანებებდა თავს ფეხბურთს. მე ძალიან მინდოდა, რომ კალაძე ამ სეზონშიც ყოფილიყო „დინამოში", მაგრამ ძალიან ჯიუტი ყმაწვილია, გასაქანი არ მომცა, გინდა თუ არა გამიშვიო გუნდიდანო. ამან ნერვული სიტუაცია შექმნა კოლექტივში. ბოლოს, იძულებული გამხადა „მილანისათვის" დაგვეთმო იგი. რას იზამ, ძალით არავის დავიტოვებთ, გზა ხსნილია. დარწმუნებული ვარ, კალაძის მაგალითს სხვა დინამოელი არ მიბაძავს... ისე, ცნობისათვის, ჩვენს გუნდში ყველა ფეხბურთელს შესანიშნავი პირობები აქვს — კეთილმოწყობილი ბინა, ავტომანქანა, ძალიან მაღალი გასამრჯელო, სხვა რა უნდათ მეტი?

...არც დემეტრაძესთან მიმართებაში მოვქცეულვართ ცუდად. მინდოდა, რომ ისიც „დინამოში" დარჩენილიყო. ახლაც თვალწინ მიდგას მისი საუკეთესო მატჩები „ალანიაში", იგი უაღრესად ნიჭიერი მოთამაშეა, მაგრამ დრო ესაჭიროებოდა, რათა გუნდს მორგებოდა. გიორგიმაც, კალაძისა არ იყოს, სულსწრაფობა გამოიჩინა.

## ფიგუმ თითი აზერბაიჯანისკენ გაიშვირა

მადრიდის „რეალისა" და პორტუგალიის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველმა ლუიშ ფიგუმ ნეგატიურად აღიქვა უეფას გადაწყვეტილება თანაგუნდელ რაულის დასჯა იმისათვის, რომ ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ლიდსის" წინააღმდეგ გოლი ხელით გაიტანა. ფიგუს სიტყვებით, უეფა ამ ნაბიჯით საშიშ ტენდენციას უყრის საფუძველს; „თუ ასეთი წვრილმანისათვის, როგორიცაა ხელით თამაში, მოთამაშეს 20 ათასი ფრანკით აჯარიმებენ, უფრო სერიოზული დარღვევისათვის, ალბათ, ფეხბურთელს ეშაფოტზე გაგზავნიან... ცხადია, საფეხბურთო მამებისთვის უფრო ადვილია ისხდნენ ევროპის ცენტრში და თვალი ადევნონ „რეალის" მატჩებს, მაგრამ მათ სულ არ ენაღვლებათ, თუ როგორ პირობებში თამაშობენ ფეხბურთს, ვთქვათ, აზერბაიჯანში.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### რ. ბაჯო კარიერის დამთავრებას 2002 წლისათვის აპირებს

**განთქმული იტალიელი თავდამსხმელი რობერტო ბაჯო, რომელიც ახლა კლუბ „ბრეშიაში" თამაშობს, საფეხბურთო კარიერის დამთავრებას 2002 წლისათვის აპირებს. იგი იმასაც ამბობს, რომ ამ დროისათვის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას შეძლებს.**

**პრეს-კონფერენციაზე, რომელიც ბაჯომ ქ. ბრეშიაში მოაწყო, განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატში თამაში მისი უკანასკნელი სპორტული მიზანია. ამავე დროს ბაჯო ამბობს, რომ რაიმე კონკრეტული წინადადება ეროვნულ ნაკრებში დაბრუნების თაობაზე მთავარ მწვრთნელ ჯოვანი ტრაპატონისაგან არ მიუღია.**

**— მას ჩემთვის არაფერი შეუტყობინებია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ოდესმე, ადრე იქნება თუ გვიან, შემომითვლის, რომ ნაკრებს დავუბრუნდე. ერთი სიტყვით, უნდა მწამდეს და ველოდო.**

### ფარინოსი იტალიურ ფეხბურთს ვერ შეეგუა

ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ესპანელი ფეხბურთელი ფრანსისკო ფარინოსი, რომელიც ზაფხულში 21 მილიონ დოლარად „ვალენსიიდან" „ინტერში" გადავიდა, ვერ შეეგუა ახალ პირობებს და იტალიელ ტიფოზებსაც ძალიან ეჯავრებათ. ამის შესახებ იგი ესაუბრა „ვალენსიის" პრეზიდენტ პედრო კორტესს, რომელიც დაპირდა მოაგვაროს საქმე „ინტერთან" და კვლავ თავის კლუბში დააბრუნოს.

### რა ვუყოთ, რომ კონტრაქტი ხელმოწერილი არ არის

**ჩვენს გუნდს სათავეში რობერტო მანჩინი ჩაუდგა, — განაცხადა „ფიორენტინას" ვიცე-პრეზიდენტმა მარიო სკონცერტიმ, — მას ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი ლუჩანო კიარუჯი დაეხმარება. კონტრაქტი ხელმოწერილი არ არის, მაგრამ ეს ხომ დროის საკითხია. საქმე ის არის, რომ მანჩინის ჯერჯერობით ლიცენზია არა აქვს, სწავლობს მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში. დაამთავრებს და...**

**რობერტო მანჩინი დაიბადა 1964 წლის 27 ნოემბერს. თამაშობდა „ბოლონიაში", გენუის „სამპდორიაში", რომის „ლაციოში", სულ ცოტა ხანს — „ლესტერ სიტიში". იტალიის ნაკრებში 36-ჯერ ითამაშა (4 ბურთი).**

**იტალიის ორგზის ჩემპიონი, უეფას თასის ორგზის მფლობელი, იტალიის თასის ხუთგზის მფლობელი, იტალიის სუპერთასზე ორგზის გამარჯვებული.**


William HILL

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | |
| მანჩესტერი — შტურმი | 13.03 | 23.45 | 1,20 | 5,50 | 9,00 |
| ვალენსია — პანათინაიკოსი | 13.03 | 23.45 | 1,28 | 4,50 | 8,00 |
| მილანი — დეპორტივო | 13.03 | 23.45 | 1,90 | 3,25 | 3,40 |
| პსჟ — გალათასარაი | 13.03 | 23.45 | 2,00 | 3,00 | 3,40 |
| ბაიერნი — არსენალი | 14.03 | 21.55 | 1,83 | 3,30 | 3,60 |
| სპარტაკი — ლიონი | 14.03 | 21.55 | 2,50 | 3,40 | 2,30 |
| **უეფას თასი** | | | | | |
| პსვ — კაიზერი | 15,03 | 23.30 | 1,72 | 3,20 | 4,33 |
| სელტა — ბარსელონა | 15.03 | 24.00 | 2,80 | 3,00 | 2,30 |
| რაიო — ალავესი | 15.03 | 24.00 | 1,72 | 3,40 | 4,00 |
| ლივერპული — პორტო | 15.03 | 00,05 | 1,44 | 3,75 | 6,00 |
| **ინგლისი. I დივიზიონი** | | | | | |
| ქრიუ — ნოტ. ფორესტი | 13.03 | 23.45 | 2,50 | 3,25 | 2,40 |
| გრიმსბი — უიმბლდონი | 13,03 | 23.45 | 2,62 | 3,10 | 2,37 |
| უოთფორდი — ბარნლი | 13.03 | 23,45 | 1,80 | 3,30 | 3,75 |
| ბირმინგემი — ბლექბერნი | 14.03 | 23.45 | 2,20 | 3,25 | 2,75 |
| პრესტონი — ვულვზი | 14,03 | 23,45 | 1,72 | 3,40 | 4.00 |
| **ინგლისი. II დივიზიონი** | | | | | |
| ბრისტოლი — პეტერბორო | 13.03 | 23.45 | 1,90 | 3,25 | 3,50 |
| უიკომბი — სტოკ სიტი | 13.03 | 23.45 | 2,62 | 3,20 | 2,37 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | |
| აბერდინი — ჰიბერნიანი | 13.03 | 23.45 | 3,20 | 3,20 | 2,00 |
| ჰერთსი — კილმარნოკი | 14,03 | 23,45 | 1,80 | 3,60 | 3,40 |
| რეინჯერსი — დანდი | 14.03 | 23.45 | 1,22 | 5,00 | 9,50 |
| სტ. ჯონსტონი — სელტიკი | 14.03 | 24.00 | 8,00 | 4,00 | 1,33 |


## ბავშვთა ფეხბურთი




### თამაზ კოსტავას შეგირდები - 24 გუნდში საუკეთესონი

ორკვირიანი ტურნირი ჩატარდა 1988 წელს დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთათვის ცნობილ „ფეიქრის" სტადიონზე 24 გუნდის მონაწილეობით. ფინალი ღირსეული გამოდგა, ერთმანეთის პირისპირ დადგნენ „ნორჩი დინამოელი" და 35-ე საფეხბურთო სკოლის თანატოლები. ძირითადი დრო ფრედ 1-1 დამთავრდა. პენალტებით 7-6 გაიმარჯვეს დინამოელებმა.(მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი თამაზ კოსტავა). დინამოელთა მეორე გუნდმაც იყოჩაღა – მესამე ადგილზე გავიდა.

საუკეთესო ნორჩ ფეხბურთელებს გადაეცათ პრიზები. მეკარის – რეზო თევდორაძეს (ნორჩი დინამოელი", მცველის – ოთარ დევდარიანს („ირაო"), ნახევარმცველის – დათო ხინჩიბაძეს (35-ე სკ), ბომბარდირის – რეზო ბარაბაძეს („ნორჩი დინამოელი"), რომელმაც 18 გოლი გაიტანა. საუკეთესო ფეხბურთელად კი მწვრთნელებმა დაასახელეს ასევე „ნორჩი დინამოელი" დიმა მაყაშვილი, ყველაზე ტექნიკურ მოთამაშედ – ბექა ტუღუში (35-ე სკ.).

### „ლიახვი" მეტრეველის თასზე იასპარეზებს

„ლელოს" მკითხველებს სამაჩაბლოს მკვიდრი, თამარაშენის საფეხბურთო კლუბის მთავარი მწვრთნელი ვახტანგ ყაზახაშვილი ადრე გავაცანით. ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებულმა კაცმა სიტყვა შეასრულა და სექტემბრიდან თამარაშენის „ლიახვი" სლავა მეტრეველის სახელობის თასის გათამაშებაში ჩაებმება. 13-14 წლის ყმაწვილები შინაურ მატჩებს თამარაშენში ჩაატარებენ, არც სტუმრად, მატჩებზე მგზავრობის პრობლემები ექნებათ.

– ბავშვებით დავიწყებ. შემდეგ უკვე დიდებზეც შეიძლება ფიქრი – განაცხადა ვახტანგ ყაზახაშვილმა.

## ჩემპიონთა ლიგა

მეორე ჯგუფური ტურნირი

**A ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 5 | 2 | 3 | 0 | 8-1 | 9 |
| მანჩესტერი | 5 | 2 | 3 | 0 | 7-3 | 9 |
| შტურმი | 5 | 2 | 0 | 3 | 4-10 | 6 |
| პანათინაიკ. | 5 | 0 | 2 | 3 | 3-8 | 2 |

13.03 ვალენსია – პანათინაიკოსი
13.03 მანჩესტერი – შტურმი

**B ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 5 | 3 | 1 | 1 | 6-4 | 10 |
| დეპორტივო | 5 | 3 | 0 | 2 | 9-6 | 9 |
| მილანი | 5 | 1 | 3 | 1 | 5-6 | 6 |
| პსჟ | 5 | 0 | 2 | 3 | 6-10 | 2 |

13.03 მილანი – დეპორტივო
13.03 პსჟ – გალათასარაი

**C ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-5 | 10 |
| არსენალი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-7 | 8 |
| ლიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-3 | 7 |
| სპარტაკი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-9 | 3 |

14.03 სპარტაკი – ლიონი
14.03 ბაიერნი– არსენალი

**D ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 5 | 4 | 1 | 0 | 14-7 | 13 |
| ლიდსი | 5 | 3 | 0 | 2 | 9-7 | 9 |
| ლაციო | 5 | 1 | 1 | 3 | 6-8 | 4 |
| ანდერლეხტი | 5 | 1 | 0 | 4 | 5-12 | 3 |

14.03 ლიდსი – ლაციო
14.03 ანდერლეხტი – რეალი

## მუნდიალი-2002

### შესარჩევი ტურნირი

#### აზია

მესამე ჯგუფი

პალესტინა — მალაიზია 1-0
ყატარი — ჰონკონგი 2-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყატარი | 3 | 3 | 0 | 0 | 9-2 | 9 |
| პალესტინა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| მალაიზია | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| ჰონკონგი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |

#### აფრიკა

A ჯგუფი

ზამბია — ლივია 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 4 | 4 | 0 | 0 | 9-0 | 12 |
| ზამბია | 4 | 2 | 0 | 2 | 5-3 | 6 |
| ანგოლა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-5 | 6 |
| ტოგო | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |
| ლივია | 4 | 0 | 1 | 3 | 4-11 | 1 |

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

B ჯგუფი

სიერა-ლეონე — სუდანი 0-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერია | 4 | 3 | 0 | 1 | 6-4 | 9 |
| სუდანი | 4 | 3 | 0 | 1 | 5-3 | 9 |
| ნიგერია | 3 | 2 | 0 | 1 | 6-2 | 6 |
| განა | 3 | 1 | 0 | 2 | 6-4 | 3 |
| სიერა-ლეონე | 4 | 0 | 0 | 4 | 0-10 | 0 |

C ჯგუფი

სენეგალი — ნამიბია 4-0
ეგვიპტე — ალჟირი 5-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენეგალი | 4 | 1 | 3 | 0 | 5-1 | 6 |
| ეგვიპტე | 4 | 1 | 3 | 0 | 6-3 | 6 |
| მაროკო | 4 | 1 | 3 | 0 | 2-1 | 6 |
| ალჟირი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| ნამიბია | 4 | 0 | 2 | 2 | 1-6 | 2 |

D ჯგუფი

კონგოს დემ.რ-კა — კოტ-დ,იუვარი 1-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 4 | 3 | 1 | 0 | 11-3 | 10 |
| კოტ-დ,იუვარი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-4 | 7 |
| მადაგასკარი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |
| კონგოს დ-რ. | 4 | 1 | 0 | 3 | 3-11 | 3 |
| კონგო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

*შენიშვნა: კონგო გათამაშებას გამოეთიშა.*

### ჯორიჩი: „ჩემი მიზანია ნაკრების გაახალგაზრდავება"

**როგორც ცნობილია, იანვარში იუგოსლავიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა ილია პეტკოვიჩმა, ამ დღეებში კი იგი მილოვან ჯორიჩმა შეცვალა.**

**ჯორიჩი ადრე ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" ფეხბურთელი იყო, შარშანდლამდე იუგოსლავიის ახალგაზრდულ ნაკრებს წვრთნიდა, სხვადასხვა დროს მუშაობდა სალვადორსა და ჩინეთში.**

**— ჩემი მიზანია იუგოსლავიის ნაკრების გაახალგაზრდავება და მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ფინალის საგზურის მოპოვება.**

### ანელკას ვერ ელევიან

როგორც „პარი სენ-ჟერმენის" პრეზიდენტმა ლორან პერპერმა განაცხადა, იმის გამო, რომ გუნდი ძალზე მარცხიანად გამოდის როგორც საფრანგეთის ჩემპიონატში, ისე ჩემპიონთა ლიგაში, პარიზელები აუცილებლად გამოეთხოვებიან რამდენიმე წამყვან მოთამაშეს.

ეს არავითარ შემთხვევაში არ ეხება ნიკოლა ანელკას, რომელზეც მწვრთნელი ლუის ფერნანდესი კვლავინდებურად იმედებს ამყარებს.

### „პრეზიდენტის თასზე"

**ამ შეჯიბრებას ოფიციალურად, „თურქმენეთის პრეზიდენტ საფარ-მურატ ნიაზოვის თასი" ეწოდება. ეს საერთაშორისო ტურნირი წლეულს მეშვიდედ ჩატარდა. მასში 5 კლუბი მონაწილეობდა, მათ შორის მოსკოვის ცსკას ექსპერიმენტული შემადგენლობა.**

**ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" და აშხაბადის „კოპეტდაღი". ანგარიშით 2-0 გაიმარჯვეს თურქმენმა ფეხბურთელებმა და დაეუფლნენ პრეზიდენტის თასს.**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ოლივერ კანი: ფეხბურთი ჰკარგავს სულს



მიუნხენის „ბაიერნის“ მეკარე ოლივერ კანს ესაუბრება პოპულარულ გერმანულ ჟურნალ „კიკერის“ კორესპონდენტი ქარლჰაინც ვილდი.

● ***2000 წელი თქვენთვის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გამოდგა მთელი კარიერის მანძილზე.***

— დიახ, ძალზე წარმატებული იყო, თუ გავითვალისწინებთ ჩემს თამაშს მიუნხენის „ბაიერნში“. ჩვენ ქვეყნის ჩემპიონებიც გავხდით და თასიც მოვიპოვეთ, ჩემპიონთა ლიგაში კი ნახევარფინალამდე მივედით.

● ***აი, რომ არ ყოფილიყო ჩავარდნა ევროპის 2000 წლის ჩემპიონატში...***

— ეჰ, ჩემთვის ძალზე უსიამოვნოა ნაკრების მარცხის გახსენება. მაგრამ, ისიც ვთქვათ, მეორე მხრივ, როდის ყოფილა, რომ ფეხბურთელს ყველაფერი კარგად გამოსდიოდა? ეს ხომ ათასში ერთხელ ხდება.

● ***ვთქვათ, 1974 წელს „ბაიერნის“ მოთამაშეები მაიერი, ბრაიტნერი, ჰოინესი, შვარცენბეკი, ბეკენბაუერი, მიულერი მსოფლიო ჩემპიონებიც გახდნენ, ევროპის ჩემპიონთა თასიც მოიპოვეს და გერმანიის ჩემპიონობაც.***

— დიახ, მაგრამ ამის შემდეგ ხომ საუკუნის მეოთხედი გავიდა. თუმცა, მე ვფიქრობ, ამის მსგავსი რამ შეიძლება მეც მომივიდეს.

● ***რამდენადაც ვიცი, თქვენ აპირებთ გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატშიც მიიღოთ მონაწილეობა?***

— რატომაც არა? მე მაშინ ისეთ ასაკში ვიქნები, როცა თამამად შეიძლება წარმატების მოპოვება. გავიხსენოთ — დინო ძოფი მსოფლიო ჩემპიონი 40 წლისა გახდა, მე კი 2006 წელს 37 წლისა ვიქნები. ისე რომ, ჩემს გეგმებში რაიმე უტოპიური არ არის, თუმცა ახლა მსჯელობა ესოდენ შორეულ დროზე, ცოტა არ იყოს, ძნელია.

● ***ყოველ შემთხვევაში, თქვენ ამ პერიოდისათვის დიდი ფეხბურთის დატოვებას არ აპირებთ.***

— ამის მიზეზს ვერ ვხედავ. ამ ხნის განმავლობაში კიდევ რამდენიმეჯერ ვაპირებ გერმანიის ჩემპიონატში, და შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებასაც.

● ***ისე რომ, ჯერჯერობით მოტივაცია საკმაოდ გაქვთ.***

— რომ გაიმარჯვო, ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, მორალურად უნდა იყო მზად. და, რა თქმა უნდა, ფიზიკურადაც...

● ***შარშანდელი სეზონის რა მოვლენები დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?***

— რა თქმა უნდა, გერმანიის ჩემპიონატში გამარჯვება — მისი განსაცვიფრებელი დაბოლოება! ყველაზე ძალიან ფრაიბურგში გამიჭირდა, როცა ვიღაცამ ტრიბუნიდან გოლფის ბურთი გამოისროლა და პირდაპირ თავში მომხვდა. მიხარია, რომ ეს შემთხვევა და მასთან დაკავშირებული ამბები მალე დამავიწყდა. სპორტული თვალსაზრისით კი, რა თქმა უნდა, ყველაზე საინტერესო იყო ჩვენი ოთხი შეხვედრა მადრიდის „რეალთან“ ჩემპიონთა თასზე („ბაიერნმა“ სამი მოიგო და ერთი წააგო. — რედ.).

● ***ფეხბურთის განვითარების რა ტენდენციებს ჰქონდა უპირატესობა შარშანდელ სეზონში?***

— ფეხბურთი უკვე კარგა ხანია ყოველდღიურ სამუშაოდ იქცა. ეს ტენდენცია შარშან კიდევ უფრო თვალნათლივ გამოჩნდა. მატჩებმა, რომლებიც ადრე განსაკუთრებულად ითვლებოდა, დაკარგა ეს განსაკუთრებულობა.

● ***რას გულისხმობთ?***

— აი, თუნდაც ასეთ ერთ-ერთ ბოლო მაგალითს. ვთქვათ, ხუთშაბათს „კაიზერსლაუტერნი“ უეფას თასზე ხვდება „გლაზგო რეინჯერსს“, სულ 48 საათის შემდეგ კი გერმანიის ჩემპიონატზე „ბაიერნს“. ეს ხომ აბსურდია! ფეხბურთი იყიდება, ზოგი ჰყიდის, ზოგი იძენს! იგი იმ ხალხზეა დამოკიდებული, ვინც ფულს იხდის. ერთი სიტყვით, ფეხბურთი სულს ჰკარგავს, უკეთ თუ ვიტყვით, სულს ჰყიდის, თუმცა ამაზე მე არ უნდა ვლაპარაკობდე.

● ***რატომ?***

— იმიტომ, რომ სპონსორები ფეხბურთელებს კარგ გასამრჯელოს აძლევენ. მეც მათ შორის.

● ***გაგრძელდება თუ არა, თქვენი აზრით, ფეხბურთის კომერციზაცია? თუ ფეხბურთის ისტორიის ჩარხი უკან დაბრუნდება?***

— ფეხბურთს ახლა გაუთავებლად გადასცემენ ტელეარხებით, რასაც დიდი შემოსავალი მოაქვს. თქვენ შეგიძლიათ ამ მატჩებს გაუთავებლად ადევნოთ თვალი: ორშაბათიდან კვირის ჩათვლით, ერთი სიტყვით, ყოველდღიურად. რა ემართება ჩემპიონთა ლიგას? ჯგუფური ეტაპი მეტისმეტად გაწელეს: ცხადია, იმავე მიზნით, რაც შეიძლება, მეტი შემოსავალი მიიღონ. თუკი ასეთი ტენდენცია შეინარჩუნეს, ვშიშობ, წარმოიქმნება პრობლემა: ფეხბურთი ძალიან მალე მაყურებლისათვის უინტერესო გახდება, მოყირჭდება მისი ყურება.

● ***ამის პირველი ნიშნები უკვე არსებობს...***

— დიახ, უკვე არაერთხელ ვნახეთ, რომ „ბაიერნის“ მატჩებზე სულ ცოტა მაყურებელი იყო. ეს ადრე წარმოუდგენელი იქნებოდა. იმის გამო, რომ თითოეულმა ცალკეულმა მატჩმა დაკარგა ღირებულება, გულშემატკივრებს უკვე აღარა სურთ ცივ ამინდსა და წვიმაში ისხდნენ ტრიბუნებზე, მივიდნენ სტადიონზე.

● ***2000 წელს, მოვლენებით სავსე სეზონში ფეხბურთის იმიჯი მაინც უარესისაკენ შეიცვალა?***

— მე სხვანაირად ვიტყოდი. ფეხბურთი ახლა გასართობ ინდუსტრიას მიეკუთვნება, იგი სპორტისა და შოუს ნაერთი გახდა. ჩემთვის, რა თქმა უნდა, პირველი, სპორტული მხარე უფრო მნიშვნელოვანია, მაგრამ ბევრი ადამიანი ფეხბურთს აღიქვამს, როგორც გართობას.

● ***კარგია ეს?***

— არა მგონია, იმიტომ, რომ ადამიანებს ახლა თამაშზე მეტად უფრო ის აინტერესებთ, რაც ფეხბურთს თან ახლავს. საფეხბურთო ვარსკვლავების პირადი ცხოვრება ახლა საზოგადოებრიობისათვის ფართოდ ცნობილი გახდა. ავიღოთ თუნდაც კრისტოფ დაუმის ამასწინანდელი ისტორია: მასში ვინღა აღარ მონაწილეობდა, ყველა — უმუშევრებიდან დაწყებული პოლიტიკოსებამდე, რომლებსაც ფეხბურთთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ. ამასთან, ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ფეხბურთს თანამედროვე საზოგადოებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია.

● ***ამიტომაც იყო, რომ გერმანიამ ასე ავადმყოფურად აღიქვა თავისი ნაკრების მარცხი ევროპის 2000 წლის ჩემპიონატზე. ახლა კრიზისი უკვე დაძლეულია?***

— არა, თუმცა ეროვნული ნაკრები სწორ გზას დაადგა. ჩვენ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის ლიდერები ვართ, მაგრამ იმის თქმის შესაძლებლობა, რომ ყველაფერი ძალიან კარგადაა, მხოლოდ რომელიმე დიდი ტურნირის მოგების შემდეგ შეგვეძლება.

● ***რას გულისხმობთ ამ წარმატებით გამოსვლაში?***

— დეე, ნაკრებმა თუნდაც პირველი ადგილი ვერ დაიკავოს, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის არაერთ ეტაპზე წარმატება მოიპოვოს.

● ***ვთქვათ, ნახევარფინალს მიაღწიოს.***

— დიახ, შეიძლება ითქვას. როცა ნაკრების თამაშის დონეზეა ლაპარაკი, აქ განმსაზღვრელია მხოლოდ ორი რამ: მისი გამოსვლა მსოფლიო ჩემპიონატის ან ევროპის პირველობის ფინალურ ტურნირში.

● ***როგორია თქვენი დამოკიდებულება შარშანდელი წლის სკანდალისადმი — კრისტოფ დაუმის საქმისადმი?***

— მთელ ამ ისტორიაში მე, უპირველეს ყოვლისა, ადამიანი მაინტერესებდა. მე შევეცადე ჩემი თავი ამ ადამიანის როლში წარმომედგინა და გამეგო: რამ აიძულა დაუმი ჩაედინა ესა თუ ის დანაშაული? რატომ იყენებდა ნარკოტიკებს?

● ***რატომ იყენებდა?***

— ჩვენ ასეთ საკითხებზე ძალიან ფრთხილად უნდა ვიმსჯელოთ. კრისტოფ დაუმი, როგორც მწვრთნელი, წარმოუდგენელ დაძაბულობაში უნდა ყოფილიყო. როცა ადამიანი თავის პროფესიულ საქმიანობაში ზედიზედ განიცდის მარცხსა და იმედგაცრუებას, ეს მას დიდ ძალას აკარგვინებს. ეტყობა, იგი თვლიდა, რომ სტიმულატორების გარეშე უბრალოდ, ვეღარ გაძლებდა, თავის სამუშაოს ვეღარ შეასრულებდა. ყოველ შემთხვევაში, მისი მაგალითი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ფეხბურთის მწვრთნელის პროფესია არა მარტო ძალიან რთულია, არამედ სახიფათოც კია.

● ***თქვენ გეცოდებათ დაუმი?***

— ამას შეცოდებას არ ვუწოდებდი. მე მას თანავუგრძნობ და ადამიანურად მესმის კიდეც მისი. თუნდაც იმიტომ, რომ მესმის, რა არის მუდმივად დაძაბულობაში ყოფნა.

● ***როგორ ართმევთ თავს ამ დაძაბულობას?***

— მხოლოდ დიდი ნებისყოფის წყალობით.

● ***ული ჰოინესი თვლის, რომ მწვრნელებისა და მოთამაშეების უდიდესი დაძაბულობა ფეხბურთს სერიოზულ მუქარას უქმნის. მართალია იგი?***

— რა თქმა უნდა, მართალია. მეც მეშინია ამ საფრთხისა, თუმცა აქ გასაოცარი არაფერია. ფეხბურთის სამყაროში ფორმალურად გარანტირებულია პიროვნების ხელშეუხებლობა და ადამიანის ღირსების დაცვა, თუმცა, როცა ამ კანონებს არღვევენ, ამას არავინ აქცევს ყურადღებას.

● ***აიხსნება ეს ყველაფერი საფეხბურთო მინდორზე? რა შეიცვალა პარტნიორების, მეტოქეების დამოკიდებულებაში?***

— უნდა გითხრათ, რომ მე პირადად ეს არ შემეხო. მე ყოველთვის ვახერხებდი მატჩში მოტივაციისა და კონცენტრაციის შენარჩუნებას იმის მიუხედავად, რა ხდებოდა ამა თუ იმ უბანზე. მაგრამ ახლა ხან სად ვხვდებით და ხან სად, მინდორზე გაუმართლებელ აგრესიის გამოვლენას: ახლა ისეთი სიტუაციაა, რომ მატჩებზე დიდ თანხებს დებენ, ეს კი აგრესიულობისაკენ უბიძგებს. ახლა გაცილებით იმატა სიმულაციის შემთხვევებმა, და, რაც მე ხშირად მაღიზიანებს, მსაჯებისადმი შეჩივლებამ.

● ***თქვენ აღნიშნეთ, რომ მატჩები დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. შეიძლება, როგორც ამბობენ, მიზანი ამართლებს საშუალებას.***

— გამოდის, რომ ასეა. ჩვენ ხომ ისიც ვნახეთ, რომ ამნაირი გზებით მსოფლიო პირველობების მატჩებსაც იგებდნენ. ცხადია, ფეხბურთის ეთიკაში ყველაფერი ისე არ არის, როგორც საჭიროა და სასურველია. ამასთან, ამ პრობლემაზე ჩვენთან გერმანიაში გაცილებით უფრო ნაკლებად ლაპარაკობდნენ, ვიდრე, ვთქვათ, ინგლისში.

● ***დაუმის საქმე, ერიხ რიბეკის დევნა ევროპის 2000 წლის ჩემპიონატში მარცხის შემდეგ — ფეხბურთი ფარისეველთა სამყაროდ ხომ არ იქცა?***

— დიახ, მნიშვნელოვანწილად იქცა კიდეც, რახან მოდას ფული კარნახობს. ბევრი ტაბუ მოიხსნა, საზღვრები დაირღვა, შესაძლოა, მალე ჩვენ ფეხბურთის მოსპობის მომსწრენი გავხდეთ.

● ***რაში ხედავთ მთავარ საფრთხეს?***

— იმაში, რომ მოთამაშეების კრიტიკა მათ ღირსებას და პატიოსნებას ეხება.

● ***ადრე თქვენც ხშირად გაკრიტიკებდნენ, ახლა კი გერმანიის 2000 წლის საუკეთესო ფეხბურთელად გცნეს. ამასთან დაკავშირებით შეიცვალა თქვენი დამოკიდებულება გულშემატკივრებთან?***

— შეიცვალა, როცა ჩვენ უკეთ გავუგეთ ერთმანეთს.

● ***ამის მიუხედავად, კვლავ ვლინდება გულშემატკივრების ნეგატიური ემოციები.***

— უფრო „ბაიერნის“, ვიდრე პირადად ჩემს მიმართ.

● ***1999 წელს გულშემატკივრები ფეხბურთის ვარსკვლავებს ხშირად უწოდებდნენ „ბინძურ მილიონერებს“. ამ დროიდან მოყოლებული, რაიმე შეიცვლა თუ არა?***

— დიახ, შეიცვალა. ახლა ასეთ საყვედურს იშვიათად გაიგონებ. მართალია, კვლავ იმართება დისკუსიები, სადაც ფეხბურთელების შემოსავალს განიხილავენ, ამასთან, ისიც ცხადია, რომ ამ საკითხში ვერავინ ახალს ვერ იტყვის, თემა ამოიწურა. ამ მხრივ მე 2000-მა წელმა ძალიან გამახარა.

● ***მხოლოდ ამით გაგახარათ?***

— არა, ლამაზი, დინამიური, დრამატული, ემოციური ფეხბურთითაც.


მაგთი GSM

მაგთი MAGTI GSM

ფილარმონია.
26 მარტი. 20 სთ

წარმოგიდგენთ

XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალს

„ვარსკვლავები“

ღონისძიების ორგანიზატორები: შ.პ.ს. „ვერიტა“, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქტელერადიო კორპორაცია. საინფორმაციო მხარდაჭერა: რადიო „ფორტუნა“ და „ფორტუნა პლუსი“, გაზეთები „ლელო“, „ალია“, „სარბიელი“.

გენერალური სპონსორია მაგთი GSM

თქვენ ბედით შეხვედრა ქართული ფეხბურთის ელიტასთან.

VERITA

ანკეტა იხ. უკანა მხარეს (მე-6 გვ.)

106,9 FM FORTUNA ფორტუნა

ალია

სარბიელი


## შირერის „ღირსეული შემცვლელი“

როგორც ინგლისელი მიმომხილველები წერენ, მომხიბლავ არსებას მელანი რეის განთქმულ სნაიპერ ალან შირერზე ნაკლები გოლები როდი გააქვს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მელანი ალან შირერის ბიძაშვილია. „ნიუკასლ იუნაიტედის“ თავდამსხმელს შეუძლია მხოლოდ შურდეს მელანი რეის ესოდენი შედეგიანობის. წინა სეზონში 19 წლის ქალიშვილმა 19 მატჩში 24 გოლი გაიტანა და კლუბ „ბლის სპარტან კესტრელს“, რომლის შემადგენლობაში 12 წლიდან თამაშობს, ინგლისის ქალთა პრემიერლიგაში გამოსვლის უფლება მოუტანა. ახლა რეის დარტყმების ეშინიათ ქალთა ისეთ ძლიერ კლუბებს, როგორიც „არსენალი“, „ლივერპული“ და „ევერტონია“.

მელანი ბიძაშვილზე 10 წლით უმცროსია. იგი თვალყურს ადევნებს ალან შირერის თამაშს, მისგან ბევრ რამეს სწავლობს და გამოცდილი ოსტატის რჩევებს ითვალისწინებს.

— იგი ფანტასტიკური მოთამაშეა. ყველაფერი, რაც კი ვიცი, მისგან შევითვისე.

ალან შირერმა, რომელიც ასევე ესწრება ნათესავის მატჩებს, განაცხადა:

— კარგი იქნება, თუ მელანი ინგლისის ნაკრების კაპიტანი გახდება. ჩემი აზრით, იგი შესანიშნავად თამაშობს ფეხბურთს. თუმცა ყველაზე კარგად მელანი რეის მიღწევებზე მისი გოლები მეტყველებს. თქმა არ უნდა, საქმე გვაქვს დიდი ტალანტის ფეხბურთელთან.

## თავი დროულად შეიკავა

მიუნხენის „ბაიერნის“ ყოფილი კაპიტანი ლოთარ მათეუსი აპირებდა დამჯდარიყო ორადგილიან ბოლიდ „მაკლარენში“, მაგრამ უკანასკნელ მომენტში შეშინდა და ხელი აიღო ამ გადაწყვეტილებაზე.

მისი კომენტარები მოკლე და კონკრეტული იყო: „თუ რაიმეში მთლად დარწმუნებული არა ხარ, სჯობს დროულად დაანებო თავი“.

## გაიყიდება 3 მილიონ 180 ათასი ბილეთი

15 აგვისტოდან მოყოლებული, სხვადასხვა ქვეყნის ფეხბურთის მოყვარულებს შეუძლიათ ინტერნეტის მსოფლიო ქსელით შეუკვეთონ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ბილეთები. რაც შეეხება იაპონელ და კორეელ გულშემატკივრებს, ისინი ცოტა ძველმოდურად უნდა მოიქცნენ: შეავსონ განაცხადის ბლანკი და ფოსტით გაგზავნონ. სულ გაიყიდება სამი მილიონ 180 ათასი ბილეთი, აქედან 740 ათასი იაპონიაში, 675 ათასი კი სამხრეთ კორეაში. ასეთ ბარათებს მარტის შუა რიცხვებამდე მიიღებენ, სხვა ქვეყნებისთვის — აპრილის ბოლომდე.

მოეწყობა კომპიუტერული ლატარეა, რომელიც ბილეთების ბედნიერ მფლობელებს დაასახელებს, რადგან ჩემპიონატზე დასწრების მსურველთა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე სტადიონები დაიტევს.




საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანკეტა

საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელების, მწვრთნელის, მსაჯის, გუნდის, გოლის გამოსავლენად ფეხბურთის გულშემატკივართა, სპეციალისტთა გამოკითხვა პრესის, ტელეფონის და ინტერნეტის მეშვეობით შემდეგ ნომინაციებში:

1. საუკეთესო ფეხბურთელი ____________
2. საუკეთესო მეკარე ____________
3. საუკეთესო მცველი ____________
4. საუკეთესო ნახევარმცველი ____________
5. საუკეთესო თავდამსხმელი ____________
6. საუკეთესო მწვრთნელი ____________
7. საუკეთესო მსაჯი ____________
8. საუკეთესო გუნდი ____________
9. უმნიშვნელოვანესი (საუკეთესო) გოლი ____________

გამოკითხვაში მონაწილეობის მსურველებს შეგიძლიათ ამოჭრათ, შეავსოთ ანკეტა და გამოაგზავნოთ გაზეთის რედაქციაში ან ჩააბაროთ გაზეთების რეალიზატორებთან. შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებზე: 99-96-43; 99-56-14 ან მოგვაწოდოთ ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით:

WWW. gff. ge – ვებ გვერდი. gff access. sanet.ge - E-mail

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი. XXV ტური

| | |
|---|---|
| დეპორტივო – ნუმანსია | 4-1 |
| ვალენსია – ოსასუნა | 1-0 |
| ბილბაო – ვილიარეალი | 1-1 |
| ალავესი – რაიო | 4-2 |
| მალაგა – სარაგოსა | 2-0 |
| ოვიედო – ესპანიოლი | 2-2 |
| რასინგი – ლას პალმასი | 2-1 |
| რეალი – სოსიედადი | 4-0 |
| ვალიადოლიდი – სელტა | 1-2 |
| ბარსელონა – მალიორკა | 1-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 26 | 17 | 5 | 4 | 60-29 | 56 |
| დეპორტივო | 26 | 15 | 6 | 5 | 52-29 | 51 |
| ვალენსია | 26 | 14 | 7 | 5 | 41-18 | 49 |
| ბარსელონა | 26 | 13 | 6 | 7 | 54-37 | 45 |
| მალიორკა | 26 | 11 | 9 | 6 | 36-33 | 42 |
| ვილიარეალი | 26 | 11 | 6 | 9 | 34-30 | 39 |
| ალავესი | 26 | 11 | 5 | 10 | 38-33 | 38 |
| ბილბაო | 26 | 8 | 7 | 8 | 34-37 | 35 |
| სელტა | 26 | 9 | 8 | 9 | 32-36 | 35 |
| რაიო | 26 | 8 | 10 | 8 | 45-44 | 34 |
| ესპანიოლი | 26 | 9 | 6 | 11 | 33-30 | 33 |
| ვალიადოლ. | 26 | 7 | 11 | 8 | 30-31 | 32 |
| ლას პალმასი | 26 | 9 | 5 | 12 | 26-43 | 32 |
| სარაგოსა | 26 | 7 | 10 | 9 | 36-37 | 31 |
| ოვიედო | 26 | 8 | 4 | 14 | 33-48 | 28 |
| ნუმანსია | 26 | 7 | 5 | 14 | 26-45 | 26 |
| სოსიედადი | 26 | 6 | 6 | 14 | 28-54 | 24 |
| ოსასუნა | 26 | 5 | 8 | 13 | 27-40 | 23 |
| რასინგი | 26 | 6 | 5 | 15 | 30-43 | 23 |

## შვეიცარია
### „ა" ჯგუფი. III ტური

| | |
|---|---|
| ლოზანა – სიონი | 2-1 |
| სერვეტი – სენტ გალენი | 4-1 |
| ლუგანო – ციურიხი | 0-1 |
| გრასჰოპერსი – ბაზელი | 0-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-2 | 23 |
| სტ. გალენი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-8 | 23 |
| ციურიხი | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 23 |
| ლოზანა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 22 |
| გრასჰოპერსი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 22 |
| ლუგანო | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 22 |
| სიონი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 17 |
| ბაზელი | 1 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 18 |

### B ჯგუფი. III ტური

| | |
|---|---|
| დელემონი – ვანგენი | 6-4 |
| კრიენცი – სოლოტურნი | 1-0 |
| ლოკარნო – კარუჟი | 0-0 |
| ტუნი – ბადენი | 2-1 |

## თურქეთი
### XXIV ტური

| | |
|---|---|
| გაზიანთეფი – ბეშიქთაში | 3-1 |
| ერზერუმი – ისთანბული | 1-3 |
| ბურსა – ქოჯაელი | 1-1 |
| სამსუნი – დენიზლი | 2-1 |
| გალათასარაი – გენჩლერბირ. | 2-1 |
| ფენერბახჩე – ანთალია | 2-1 |
| რიზე – ადანა | 4-2 |
| ტრაბზონი – იეთფა | 2-4 |
| ანკარაგუჯუ – იოზგათი | 4-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბახჩე | 24 | 18 | 3 | 3 | 62-27 | 57 |
| გალათასარ. | 23 | 15 | 4 | 4 | 49-21 | 49 |
| გაზიანთეფი | 24 | 14 | 7 | 3 | 48-27 | 49 |
| ბეშიქთაში | 24 | 14 | 4 | 6 | 51-39 | 46 |
| სამსუნი | 24 | 11 | 6 | 7 | 40-33 | 39 |
| ტრაბზონი | 24 | 11 | 5 | 8 | 48-38 | 38 |
| ისთანბული | 23 | 9 | 6 | 8 | 32-31 | 33 |
| გენჩლერბ. | 24 | 10 | 3 | 11 | 31-35 | 33 |
| ანკარა | 24 | 9 | 8 | 7 | 39-41 | 35 |
| რიზე | 24 | 10 | 4 | 10 | 34-27 | 34 |
| ანთალია | 24 | 8 | 7 | 9 | 34-38 | 31 |
| დენიზლი | 24 | 7 | 8 | 9 | 31-38 | 29 |
| იოზგათი | 24 | 6 | 8 | 10 | 32-36 | 26 |
| ბურსა | 24 | 6 | 7 | 11 | 35-45 | 25 |
| ქოჯაელი | 24 | 5 | 9 | 10 | 30-42 | 24 |
| ადანა | 24 | 2 | 9 | 13 | 36-52 | 15 |
| იეთფა | 24 | 3 | 6 | 15 | 29-55 | 15 |
| ერზურუმი | 24 | 3 | 4 | 17 | 25-61 | 13 |

## იტალია
### სერია A. XXII ტური

| | |
|---|---|
| ვიჩენცა – ნაპოლი | 2-0 |
| ატალანტა – მილანი | 1-1 |
| რომა – ბრეშა | 3-1 |
| ბოლონია – ლაციო | 2-0 |
| ინტერი – ვერონა | 2-0 |
| იუვენტუსი – რეჯინა | 1-0 |
| ლეჩე – უდინეზე | 2-1 |
| პერუჯა – ფიორენტინა | 2-2 |
| პარმა – ბარი | 4-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 22 | 17 | 3 | 2 | 44-17 | 54 |
| იუვენტუსი | 22 | 14 | 6 | 2 | 39-15 | 48 |
| ლაციო | 22 | 13 | 4 | 5 | 40-25 | 43 |
| პარმა | 22 | 10 | 6 | 7 | 35-20 | 36 |
| ატალანტა | 22 | 8 | 9 | 5 | 25-19 | 33 |
| ინტერი | 22 | 8 | 7 | 7 | 27-25 | 31 |
| ბოლონია | 22 | 9 | 4 | 9 | 28-28 | 31 |
| მილანი | 22 | 7 | 9 | 6 | 33-35 | 30 |
| პერუჯა | 22 | 8 | 6 | 8 | 28-30 | 30 |
| ლეჩე | 22 | 7 | 8 | 7 | 28-33 | 29 |
| ფიორენტინა | 22 | 6 | 10 | 6 | 36-32 | 28 |
| უდინეზე | 22 | 9 | 1 | 12 | 35-37 | 28 |
| ვიჩენცა | 22 | 6 | 5 | 11 | 22-33 | 23 |
| ნაპოლი | 22 | 5 | 6 | 11 | 23-35 | 21 |
| ბრეშა | 22 | 4 | 9 | 9 | 25-32 | 21 |
| ვერონა | 22 | 5 | 6 | 12 | 27-41 | 21 |
| რეჯინა | 22 | 5 | 3 | 14 | 17-36 | 18 |
| ბარი | 22 | 4 | 4 | 14 | 18-38 | 16 |

## ჩეხეთი
### XIX ტური

| | |
|---|---|
| ბუდეიოვიცე – სპარტა | 1-4 |
| ჟიჟკოვი – ოლმოუცი | 2-2 |
| ბლშანი – პლზენი | 2-1 |
| ბრნო – პრჟიბრამი | 0-0 |
| იაბლონეცი – ტეპლიცე | 1-0 |
| დრნოვიცე – ლიბერეცი | 2-1 |
| სინოტი – ბოჰემიანსი | (გადაიდო) |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 19 | 16 | 1 | 2 | 49-15 | 49 |
| სიგმა | 18 | 9 | 6 | 3 | 34-17 | 33 |
| პრჟიბრამი | 19 | 9 | 5 | 5 | 29-19 | 32 |
| ტეპლიცე | 19 | 9 | 3 | 7 | 31-21 | 30 |
| ვიქტორია | 18 | 8 | 5 | 5 | 29-27 | 29 |
| ლიბერეცი | 19 | 8 | 4 | 7 | 29-26 | 28 |
| დრნოვიცე | 19 | 7 | 5 | 7 | 21-21 | 26 |
| სინოტი | 18 | 6 | 7 | 5 | 25-21 | 25 |
| სლავია | 18 | 6 | 7 | 5 | 23-22 | 25 |
| ბოჰემიანსი | 18 | 5 | 7 | 6 | 24-26 | 22 |
| იაბლონეცი | 19 | 5 | 7 | 7 | 17-26 | 22 |
| ბლშანი | 19 | 5 | 5 | 9 | 18-26 | 20 |
| ბანიკი | 18 | 4 | 7 | 7 | 18-30 | 19 |
| ბრნო | 19 | 5 | 3 | 11 | 16-25 | 18 |
| ბუდეიოვიცე | 19 | 3 | 6 | 10 | 23-41 | 15 |
| პლზენი | 19 | 2 | 6 | 11 | 16-39 | 12 |

## ავსტრია
### XXIV ტური

| | |
|---|---|
| რაპიდი – ადმირა | 1-2 |
| რიდო – ზალცბურგი | 1-3 |
| ბრეგენცი – აუსტრია | 2-1 |
| ტიროლი – ლინცერი | 1-1 |
| გრაცერი – შტურმი | 1-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 25 | 13 | 7 | 5 | 47-23 | 46 |
| რაპიდი | 24 | 12 | 6 | 6 | 45-29 | 42 |
| აუსტრია | 24 | 11 | 6 | 7 | 35-21 | 39 |
| შტურმი | 25 | 11 | 4 | 10 | 41-33 | 37 |
| ზალცბურგი | 24 | 10 | 7 | 7 | 35-28 | 37 |
| გრაცერი | 24 | 10 | 5 | 9 | 22-29 | 35 |
| რიდი | 24 | 9 | 6 | 9 | 37-35 | 33 |
| ბრეგენცი | 24 | 7 | 4 | 13 | 30-49 | 25 |
| ადმირა | 24 | 5 | 6 | 13 | 20-52 | 21 |

## რუსეთი
### I ტური

| | |
|---|---|
| ჩერნომორეცი – ცსკა | 2-0 |
| სპარტაკი – სოკოლი | 0-0 |
| როტორი – ზენიტი | 0-0 |
| როსტსელმაში – ლოკომოტ. | 0-0 |
| ზილი – ანჟი | 1-1 |
| სატურნი – ალანია | 1-0 |
| ფაკელი – ტორპედო | 2-2 |
| დინამო (მ) – კრილია | 0-1 |

## ბელგია
### I დივიზიონი. XXV ტური

| | |
|---|---|
| ვესტერლო – სტანდარდი | 2-2 |
| ანდერლეხტი – გენკი | 1-0 |
| შარლერუა – მუსკრონი | 1-3 |
| ბევერენი – ლოკერენი | 0-2 |
| მეხელენი – ბრიუგე | 1-1 |
| ანტვერპენი – გენტი | 1-0 |
| აალსტი – ბეერსხოტი | 2-0 |
| ჰარელბეკე – ლიერსი | 1-0 |
| სტ. ტრიუდენი – ლუვიე | 1-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 25 | 20 | 5 | 0 | 69-19 | 65 |
| ბრიუგე | 25 | 17 | 7 | 1 | 66-19 | 58 |
| სტანდარდი | 25 | 12 | 9 | 4 | 57-29 | 45 |
| გენტი | 25 | 12 | 7 | 6 | 44-35 | 43 |
| ვესტერლო | 25 | 12 | 6 | 7 | 46-37 | 42 |
| მუსკრონი | 25 | 12 | 5 | 8 | 48-32 | 41 |
| ლოკერენი | 25 | 11 | 7 | 7 | 38-32 | 40 |
| ბეერსხოტი | 25 | 12 | 3 | 10 | 46-37 | 39 |
| შარლერუა | 25 | 11 | 4 | 10 | 40-45 | 37 |
| ლიერსი | 25 | 10 | 6 | 9 | 35-30 | 36 |
| ბევერენი | 25 | 8 | 7 | 10 | 22-43 | 31 |
| გენკი | 25 | 7 | 7 | 11 | 29-36 | 28 |
| ანტვერპენი | 25 | 8 | 4 | 13 | 27-35 | 28 |
| აალსტი | 25 | 6 | 5 | 14 | 25-52 | 23 |
| სტ. ტრიუიდ. | 25 | 4 | 6 | 15 | 24-43 | 18 |
| ჰარელბეკე | 25 | 6 | 2 | 17 | 29-66 | 18 |
| ლუვიე | 25 | 2 | 9 | 14 | 19-45 | 15 |
| მეხელენი | 25 | 2 | 7 | 16 | 29-58 | 13 |

## პორტუგალია
### I ლიგა. XXIV ტური

| | |
|---|---|
| ფერეირა – ბოავიშტა | 0-2 |
| ბელენენსეში – ბენფიკა | 1-0 |
| ალვერკა – სალგეირუში | 0-3 |
| კამპომაიორ. – ამადორა | 4-1 |
| ფარენსე – ბეირა მარი | 1-2 |
| ჟილ ვისენტე – ბრაგა | 1-1 |
| მარიტიმუ – ლეირია | 2-1 |
| სპორტინგი – ავეში | 2-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 24 | 15 | 7 | 2 | 43-13 | 52 |
| სპორტინგი | 24 | 15 | 3 | 6 | 45-26 | 48 |
| პორტუ | 22 | 14 | 2 | 6 | 42-18 | 44 |
| ბენფიკა | 24 | 13 | 5 | 6 | 40-25 | 44 |
| ბრაგა | 24 | 12 | 8 | 4 | 38-28 | 44 |
| ბელენენსეში | 24 | 11 | 6 | 7 | 28-21 | 39 |
| ბეირა მარი | 24 | 10 | 5 | 9 | 29-31 | 35 |
| ფერეირა | 24 | 8 | 9 | 7 | 27-21 | 33 |
| ფარენსე | 24 | 8 | 8 | 8 | 27-30 | 32 |
| ალვერკა | 24 | 9 | 4 | 11 | 35-39 | 31 |
| ლეირია | 24 | 7 | 10 | 7 | 28-33 | 31 |
| მარიტიმუ | 23 | 8 | 6 | 9 | 23-24 | 30 |
| გიმარაეში | 23 | 5 | 7 | 11 | 28-38 | 22 |
| კამპომაიორ. | 24 | 4 | 9 | 11 | 21-40 | 21 |
| ჟილ ვისენტე | 24 | 4 | 6 | 14 | 20-34 | 18 |
| ამადორა | 24 | 3 | 5 | 16 | 21-40 | 15 |
| ავეში | 24 | 2 | 7 | 15 | 19-46 | 13 |

## შოტლანდია
### თასის 1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| კილმარნოკი – ჰიბერნიანი | 0-1 |
| ლივინგსტონი – პეტერჰედი | 3-1 |
| სელტიკი – ჰართსი | 1-0 |
| დანდი იუნ. – რეინჯერსი | 1-0 |

## საფრანგეთი
### თასის 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| ვალანსი-სტრასბური | 0-2 |
| რეიმსი – ბასტია | 1-0 |
| შატორუ – გრენობლი | 0-2 |
| ტრუა – ვასკეალი | 1-0 |
| კირკასონი – ნანტი | 0-3 |
| ვანე – ოსერი | 1-2 |

## ინგლისი
### პრემიერლიგა

*გადატანილი მატჩი:*

| | |
|---|---|
| ასტონ ვილა – იფსვიჩი | 2-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტ.იუნ. | 29 | 20 | 7 | 2 | 66-19 | 67 |
| არსენალი | 29 | 15 | 8 | 6 | 47-29 | 53 |
| იფსვიჩი | 29 | 14 | 4 | 11 | 43-36 | 46 |
| ლივერპული | 27 | 13 | 6 | 8 | 47-30 | 45 |
| სანდერლენ. | 29 | 12 | 9 | 8 | 33-28 | 45 |
| ლესტერი | 28 | 13 | 6 | 9 | 31-29 | 45 |
| ლიდსი | 29 | 12 | 8 | 9 | 42-37 | 44 |
| ჩელსი | 28 | 11 | 9 | 8 | 50-33 | 42 |
| ჩარლტონი | 29 | 11 | 9 | 9 | 38-40 | 42 |
| საუთჰემპტ. | 28 | 11 | 8 | 9 | 33-34 | 41 |
| ნიუკასლი | 28 | 11 | 5 | 12 | 33-39 | 38 |
| ასტონ ვილა | 28 | 9 | 10 | 9 | 31-30 | 37 |
| ტოტენჰემი | 29 | 9 | 9 | 11 | 33-38 | 36 |
| ვესტ ჰემი | 29 | 8 | 11 | 10 | 35-37 | 35 |
| დერბი | 29 | 8 | 10 | 11 | 30-44 | 34 |
| ევერტონი | 29 | 8 | 8 | 13 | 31-43 | 32 |
| მიდლსბრო | 29 | 5 | 13 | 11 | 31-35 | 28 |
| მანჩესტ.სიტი | 29 | 6 | 8 | 15 | 31-47 | 26 |
| ქოვენთრი | 29 | 5 | 9 | 15 | 26-48 | 24 |
| ბრედფორდი | 28 | 3 | 7 | 18 | 18-53 | 16 |

## ინგლისი
### თასი

| | |
|---|---|
| არსენალი – ბლექბერნი | 3-0 |
| ლესტერი – ვაიკომბი | 1-2 |
| ტრანმერი – ლივერპული | 2-4 |
| ვესტ ჰემი – ტოტენჰემი | 2-3 |

## პოლონეთი
### XVI ტური

| | |
|---|---|
| პოლონია –ამიცა | 3-0 |
| რაძიონკოვი – ვისლა | 0-2 |
| ოდრა-სტომილი | 2-1 |
| პოგონი – კატოვიცე | 1-2 |
| გროცლინი – პლოცკი | 1-2 |
| ვიძევი – რუხი | 1-0 |
| გურნიკი– შლიონსკი | 2-0 |
| ზაგლებე – ლეგია | 3-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 16 | 12 | 2 | 2 | 43-13 | 38 |
| პოგონი | 16 | 11 | 2 | 3 | 23-12 | 35 |
| ლეგია | 16 | 8 | 6 | 2 | 26-14 | 30 |
| ზაგლებე | 16 | 9 | 1 | 6 | 27-20 | 28 |
| პოლონია | 16 | 8 | 3 | 5 | 22-15 | 27 |
| ამიცა | 16 | 7 | 3 | 6 | 29-26 | 24 |
| ოდრა | 16 | 6 | 3 | 7 | 16-24 | 21 |
| კატოვიცე | 16 | 4 | 8 | 4 | 12-10 | 20 |
| ვიძევი | 16 | 5 | 4 | 7 | 22-29 | 19 |
| სტომილი | 16 | 5 | 4 | 7 | 13-20 | 19 |
| გროცლინი | 16 | 4 | 5 | 7 | 15-21 | 17 |
| გურნიკი | 16 | 4 | 4 | 8 | 14-18 | 16 |
| შლიონსკი | 16 | 4 | 4 | 8 | 17-24 | 16 |
| რაძიონკოვი | 16 | 5 | 1 | 10 | 15-26 | 16 |
| რუხი | 16 | 4 | 3 | 9 | 16-25 | 15 |
| პლოცკი | 16 | 4 | 3 | 9 | 18-31 | 15 |

## საბერძნეთი
### XXII ტური

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი – პაოკ | 5-2 |
| პანილიაკოსი – ქსანტი | 1-0 |
| ათინაიკოსი – არისი | 2-0 |
| ეთნიკოსი – პანიონისი | 1-0 |
| იონიკოსი – იანინა | 1-1 |
| კრეტა – ირაკლისი | 1-0 |
| პანახაიკი – ოლიმპიაკოსი | 1-5 |
| აეკი – კალამატა | 3-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკ. | 22 | 19 | 2 | 1 | 66-16 | 59 |
| პანათინაიკ. | 22 | 14 | 5 | 3 | 40-13 | 47 |
| აეკი | 22 | 13 | 3 | 6 | 42-27 | 42 |
| პაოკი | 22 | 11 | 7 | 4 | 48-36 | 40 |
| ირაკლისი | 22 | 11 | 3 | 8 | 34-27 | 36 |
| არისი | 22 | 10 | 4 | 8 | 24-24 | 34 |
| იონიკოსი | 22 | 9 | 7 | 6 | 33-29 | 34 |
| ქსანტი | 22 | 9 | 4 | 9 | 17-21 | 31 |
| ეთნიკოსი | 22 | 7 | 4 | 11 | 23-38 | 25 |
| პანიონისი | 22 | 5 | 9 | 8 | 23-29 | 24 |
| იანინა | 22 | 5 | 7 | 10 | 28-38 | 22 |
| პანაჰაიკი | 22 | 5 | 5 | 12 | 25-40 | 20 |
| ათინაიკოსი | 22 | 5 | 4 | 13 | 29-42 | 19 |
| კალამატა | 22 | 3 | 8 | 11 | 28-45 | 17 |
| ოფი | 22 | 3 | 7 | 12 | 22-40 | 16 |
| პანილიაკოსი | 22 | 4 | 7 | 11 | 18-34 | 10 |

## გერმანია
### ბუნდესლიგა. XXV ტური

| | |
|---|---|
| ლევერკუზენი – ვერდერი | 3-0 |
| ჰერტა-ჰანზა | 1-0 |
| ბოხუმი – კიოლნი | 2-3 |
| ვოლფსბურგი – უნტერჰაჩ. | 6-1 |
| ფრაიბურგი –დორტმუნდი | 2-2 |
| ბაიერნი – კოტბუსი | 2-0 |
| აინტრახტი – შალკე | 0-0 |
| ჰამბურგი – შტუტგარტი | 2-2 |
| კაიზერი – მიუნხენი | 3-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 25 | 14 | 4 | 7 | 49-28 | 46 |
| დორტმუნდი | 25 | 13 | 6 | 6 | 43-31 | 45 |
| ლევერკუზ. | 25 | 13 | 4 | 8 | 43-29 | 43 |
| ჰერტა | 25 | 14 | 1 | 10 | 47-41 | 43 |
| კაიზერი | 25 | 13 | 4 | 8 | 37-32 | 43 |
| შალკე | 25 | 12 | 6 | 7 | 43-26 | 42 |
| ვერდერი | 25 | 10 | 7 | 8 | 35-36 | 37 |
| კიოლნი | 25 | 10 | 6 | 9 | 44-39 | 36 |
| ვოლფსბურ. | 25 | 9 | 8 | 8 | 49-34 | 35 |
| ფრაიბურგი | 25 | 9 | 8 | 8 | 33-29 | 35 |
| მიუნხენი | 25 | 9 | 7 | 9 | 33-40 | 34 |
| ჰანზა | 25 | 9 | 4 | 12 | 25-37 | 31 |
| ჰამბურგი | 25 | 9 | 4 | 12 | 48-47 | 31 |
| აინტრახტი | 25 | 8 | 4 | 13 | 30-46 | 28 |
| უნტერჰაჩინ. | 25 | 7 | 6 | 12 | 25-44 | 27 |
| კოტბუსი | 25 | 8 | 2 | 15 | 29-43 | 26 |
| შტუტგარტი | 25 | 6 | 8 | 11 | 35-40 | 26 |
| ბოხუმი | 25 | 5 | 5 | 15 | 22-48 | 20 |

## ჰოლანდია
### I დივიზიონი

| | |
|---|---|
| როდა – ბრედა | 1-0 |
| გრააფსხაპი – ჰერენვენი | 0-1 |
| სიტარდი – როზენდალი | 2-1 |
| ტვენტე – ნაიმეგენი | 1-1 |
| ალკმაარი – ვალვაიკი | 1-3 |
| უტრეხტი – ვიტესი | 0-0 |
| ტილბურგი – ფეიენოორდი | 3-1 |
| გრონინგენი – აიაქსი | 3-3 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 24 | 17 | 6 | 1 | 49-14 | 57 |
| ფეიენოორ. | 24 | 17 | 2 | 5 | 49-22 | 53 |
| აიაქსი | 24 | 14 | 5 | 5 | 60-30 | 47 |
| როდა | 24 | 12 | 5 | 7 | 42-29 | 41 |
| ვალვაიკი | 24 | 11 | 8 | 5 | 31-19 | 41 |
| ვიტესი | 24 | 11 | 7 | 6 | 41-36 | 40 |
| ტილბურგი | 24 | 10 | 7 | 7 | 43-34 | 35 |
| უტრეხტი | 23 | 10 | 5 | 8 | 39-34 | 35 |
| ნაიმეგენი | 24 | 6 | 13 | 5 | 31-30 | 31 |
| ჰერენვენი | 23 | 7 | 9 | 7 | 28-29 | 30 |
| ბრედა | 23 | 8 | 5 | 10 | 29-35 | 29 |
| ტვენტე | 23 | 7 | 7 | 9 | 35-43 | 28 |
| გრონინგენი | 23 | 7 | 6 | 10 | 27-33 | 27 |
| ალკმაარი | 24 | 7 | 6 | 11 | 35-48 | 27 |
| სპარტა | 24 | 5 | 5 | 14 | 35-47 | 20 |
| გრააფსხაპი | 24 | 5 | 2 | 17 | 28-52 | 17 |
| სიტარდი | 24 | 3 | 6 | 15 | 16-48 | 15 |
| როზენდალი | 24 | 4 | 1 | 19 | 31-66 | 13 |

## ბლატერი პროფესიულ მსაჯობას უჭერს მხარს



10 მარტს ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს 65 წელი შეუსრულდა. თავისი იუბილე მან ედინბურგში აღნიშნა. შოტლანდიის ამ ქალაქში მიმდინარეობს მსაჯთა საერთაშორისო ასოციაციის კონფერენცია და სტუმრის სტატუსით იქ მყოფმა ბლატერმა მხარი დაუჭირა პროფესიონალ მსაჯთა ინსტიტუტის შემოღებას: „ბოლო დროს თამაშის ტემპი საგრძნობლად გაიზარდა, შეიცვალა მოთამაშეთა ტაქტიკა და ტექნიკა, ამიტომ ჩვენ პროფესიონალი მსაჯები გვჭირდება. ვფიქრობ, თუ არბიტრებისთვის მსაჯობა ძირითადი სამუშაო გახდება, ეს სასიკეთოდ იმოქმედებს მსაჯობის ხარისხზე".

ბლატერს არც მისი ქვეშევრდომი, ფიფას გენერალური მდივანი მიშელ ცენ-რუფინენი ჩამორჩა. მისი განცხადებით, ამიერიდან აღარ დაისჯებიან ყვითელი ბარათით ის ფეხბურთელები, რომლებიც გოლის გატანის აღსანიშნავად მაისურებს იხდიდნენ: „ფეხბურთის თამაშის მიზანი გოლია და თუ ფეხბურთელი თავის მიღწევას ამდაგვარად აღნიშნავს, მისი დასჯა გაუმართლებელია".

რუფინენმა სხვა საყურადღებო ამბებიც თქვა. ასე, გაგრძელდება ექსპერიმენტი, რომლის თანახმადაც საჯარიმო დარტყმების შესრულების დროს „ცოცხალი კედელი" 10 მეტრის დაშორებით უნდა აღიმართოს. ფიფას გენერალური მდივნის აღიარებით, აშკარად არ გაამართლა მინდორზე ორი არბიტრით მსაჯობის ექსპერიმენტმა.

## ჩილავერტს ციხე ელის

პარაგვაის ეროვნული ნაკრებისა და საფრანგეთის „სტრასბურის" სახელგანთქმულ მეკარეს ხოსე ლუის ჩილავერტს სამშობლოში არ ჩაესვლება — პარაგვაიში გამართულმა ერთ-ერთმა სასამართლომ მას სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯა.

ჩილავერტი ხულიგნობის მუხლით გაასამართლეს. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც „ველეს სერსფილდში" გამოდიოდა, მეტოქე ფეხბურთელს სახეში ჩააზილა, თანაც ზედ უხამსი ქცევაც მიაყოლა. თავად მეკარემ თავი იმართლა: „სულაც არ მინდოდა ამ ახალგაზრდისთვის გამერტყა, თმებზე მოფერება ვცადე, ის კი მოულოდნელად დაეცა და ცხვირი გაიტეხა, რა ჩემი ბრალია?"



## დაუმს თურქეთშიც სდევნიან



კოკაინის ხმარებაში მხილებულ გერმანელ მწვრთნელს კრისტოფ დაუმს თურქეთშიც აღარ აყენებენ. როგორც ცნობილია, მან ამ დღეებში ჩაიბარა ს.კ. „ბეშიქთაში", მაგრამ პირველივე მატჩში განცდილი მარცხის შემდეგ თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ოფიციალურად მოითხოვა დაუმის გასინჯვა: „თუ იგი ახლაც ხმარობს ნარკოტიკულ ნივთიერებებს, დაუყოვნებლივ უნდა გავაძევოთ ქვეყნიდან".

## ცოლების საქმეში ჩართეს

ინგლისის პრემიერლიგაში წარუმატებლად მოასპარეზე „მიდლსბროს" მეპატრონეებმა სტადიონზე გულშემატკივრების მოსაზიდად ორიგინალურ ხერხს მიმართეს — გუნდს ახალი ფორმები შეუძინეს და მისი დემონსტრირება ნახევარმცველ კრისტიან კარამბეს მეუღლეს, ცნობილ სლოვაკ სუპერმოდელ ადრიანა სკლენარიკოვას მიანდეს.

ახლა გულშემატკივრებმა უნდა ამოარჩიონ სკლენარიკოვას მიერ რეკლამირებული ერთ-ერთი ფორმა, რომელიც მომავალ სეზონში გახდება გუნდის სამოსი.

# სპორტული პლანეტა

## ნბა:



ტრავმამიღებულმა აივერსონმა სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა

### აივერსონის ტრავმამ „ფილადელფიაზე“ არ იმოქმედა

გუშინ ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის პირველობაზე 9 მატჩი გაიმართა. „ფილადელფიის“ ლიდერმა ალენ აივერსონმა „ბოსტონთან“ მატჩის დასაწყისშივე მიიღო ტრავმა. საფიქრალი იყო, რომ მასპინძლები ამ გარემოებას მაქსიმალურად გამოიყენებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა — თანაგუნდელის არყოფნაში წამყვანი ფუნქციები იკისრეს სნოუმ (19 ქულა), მუტომბომ და ლინჩმა (ორივემ — 18-18). საბოლოოდ „ფილადელფიამ“ ეს მატჩი მოიგო ანგარიშით 97:91.

***სხვა შეხვედრები:*** საკრამენტო — იუტა 105:90, ლეიკერსი — სიეტლი 97:109 (ოტ), ვანკუვერი — ტორონტო 84:101, დეტროიტი — ინდიანა 95:78, კლივლენდი — მილუოკი 124:110, ფინიკსი — ჰიუსტონი 94:92, დალასი — კლიპერსი 111:93, ნიუ-იორკი — მაიამი 86:83.

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

**ატლანტიკის დივიზიონი**

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| ფილადელფია | 47 | 16 | 74,6 |
| მაიამი | 36 | 26 | 59,4 |
| ნიუ-იორკი | 37 | 26 | 58,7 |
| ორლანდო | 34 | 28 | 54,8 |
| ბოსტონი | 27 | 36 | 42,9 |
| ნიუ-ჯერსი | 22 | 43 | 33,8 |
| ვაშინგტონი | 15 | 48 | 23,8 |

**ცენტრალური დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| მილუოკი | 38 | 24 | 61,3 |
| შარლოტი | 36 | 27 | 57,1 |
| ტორონტო | 35 | 29 | 54,7 |
| ინდიანა | 27 | 34 | 44,3 |
| დეტროიტი | 24 | [illegible] | 38,1 |
| კლივლენდი | 23 | 39 | 37,1 |
| ატლანტა | 19 | 45 | 29,7 |
| ჩიკაგო | 11 | 50 | 18,0 |

**დასავლეთის კონფერენცია**

**შუადასავლეთის დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| იუტა | 43 | 19 | 69,4 |
| სან-ანტონიო | 43 | 19 | 69,4 |
| დალასი | 40 | 23 | 63,5 |
| მინესოტა | 37 | 26 | 58,7 |
| ჰიუსტონი | 35 | 29 | 54,8 |
| დენვერი | 30 | 34 | 46,9 |
| ვანკუვერი | 20 | 44 | 31,3 |

**წყნარი ოკეანის დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| საკრამენტო | 42 | 19 | 68,9 |
| პორტლენდი | 42 | 21 | 66,7 |
| ლეიკერსი | 41 | 21 | 66,1 |
| ფინიკსი | 37 | 25 | 59,7 |
| სიეტლი | 32 | 33 | 49,2 |
| კლიპერსი | 22 | 43 | 33,8 |
| გოლდენ სტეიტი | 16 | 17 | 25,4 |

## ფორმულა-1

### შემდეგი გაჩერება — მალაიზია

მიმდინარე კვირის ბოლოს მსოფლიოს რჩეული პილოტები მალაიზიაში „გრან-პრის“ გაითამაშებენ. ასეთ დიდ შეჯიბრებას „სეპანგის“ ავტოდრომი მესამედ უმასპინძლებს. ავსტრალიაში დაწინაურებულ „ფერარის“, როგორც ეტყობა, მეტად რთული ბრძოლის გადატანა მოუწევს. ამ გუნდის ძირითადი კონკურენტი მაინც „მაკლარენი“ რჩება, რომლის მრბოლმა დევიდ კულტჰარდტმა მელბურნში მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო მიკა ჰაკინენისთვის ბოლიდს რომ არ ემტყუნა, ვინ იცის, ეგება თავად მიხაელ შუმახერის ადგილი დაეკავებინა გამარჯვების კვარცხლბეკზე.



*სურათზე: კულტჰარდტი (მარცხნივ) და ჰაკინენი.*

## მძლეოსნობა

### გერმანელთა ფიასკო ლისაბონში

**აბა, ვინ წარმოიდგენდა, ერთ დროს მძლეოსნობაში გამორჩეული გერმანელები ზამთრის მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ახლახან ლისაბონში დასრულდა, გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ 23-ე ადგილს დაიკავებდნენ? გერმანელი სპორტსმენები პორტუგალიიდან მხოლოდ ორი ბრინჯაოს მედლით დაბრუნდნენ (ეს ჯილდო მოიპოვეს ხუთჭიდელმა კარინ შპეხტ-ერტლმა და ქალთა კვარტეტმა 4X400 მეტრზე ესტაფეტაში).**

**ამ სამარცხვინო შედეგით გაოგნებულმა გერმანიის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა ხელმუტ დიგელმა აეროპორტში დახვედრილ ჟურნალისტებს განუცხადა: „ეს სრული ფიასკოა. ვერაფრით ვიმართლებთ თავს. ყველა ღონეს ვიხმარ, რათა უმაღლეს დროში გაგცეთ პასუხი — რამ გამოიწვია ასეთი ჩავარდნა“.**

**რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თავად სპორტსმენები ასე მწარედ არ აღიქვამენ მომხდარს. ასე, მაგალითად, 36 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ჰაიკე დრექსლერი, რომელიც ლისაბონში სიგრძეზე ხტომაში მეხუთე ადგილზე გავიდა, სულაც არაა დამწუხრებული: „ტრაგედიას ვერ ვხედავ, ლისაბონი ჩვენთვის მხოლოდ მომზადების ერთ-ერთი ეტაპია აგვისტოს მსოფლიო ჩემპიონატისათვის, რომელიც კანადის ქალაქ ედმინტონში გაიმართება“.**

## ჩოგბურთი



აგასი

### წინ კვლავ აგასია

ATP-ს საჩემპიონო რბოლის მორიგ რეიტინგ-ლისტს სათავეში კვლავ უდგას ამერიკელი ანდრე აგასი — 225 ქულა. შემდეგ მოდიან: 2 (2). არნო კლემანი (საფრანგეთი) — 154

3 (3). სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) — 135

4(4). ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — 122

5 (6) დომინიკ ხრბატი (სლოვაკეთი) — 118.

### კლავეტის უპირატესობით

ესპანელმა ჩოგბურთელმა ფრანსისკო კლავეტმა დიდი საერთაშორისო ტურნირი „Franklin Templeton tennis Classic“, რომელიც ამერიკის ქალაქ სკოტსდეილში გაიმართა. ფინალში ანგარიშით 6:4, 6:2 დაამარცხა შვედი მაგნუს ნორმანი. ტურნირის საპრიზო ფონდი 400 ათას დოლარს უდრიდა.



კლავეტი

### ეს მოუსვენარი გემბილი

ამერიკელი ჩოგბურთელი ჟან-მიშელ გემბილი მოუსვენარი ხასიათით გამოირჩევა. მასზე შეიძლება ითქვას, მსოფლიო ფეხქვეშ აქვს მოდებული — არც ერთ მეტნაკლებად მნიშვნელოვან შეჯიბრებას არ გააცდენს, დღისით, მზისით, ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადის და ამ ბოლო დროს, საკმაო ნადავლითაც. ასე მაგალითად, ამ უქმეებზე მან დელრეი-ბიჩის ტურნირიც მოიგო, რომლის საპრიზო ფონდი 350 ათას დოლარს შეადგენდა.

ამ ასპარეზობაში გემბილი მეოთხე ნომრად იყო განთესილი. ფინალში შვეიცარიელ ქსავიე მალისს სძლია 7:5, 6:4. ამ გამარჯვებისთვის ამერიკელმა ჩოგბურთელმა 35 სარეიტინგო ქულა მიითვალა და 46-ათას დოლარიან ჩეკსაც გამოჰკრა ხელი.

## ზამთრის სპორტის სახეობები

## ციგურები

### მსოფლიო რეკორდი 5 წუთში ორჯერ გააუმჯობესეს

ეს ამერიკის ქალაქ სოლტ-ლეიკ-სიტიში მოციგურავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე მოხდა, როდესაც 1000-მეტრიან დისტანციაზე ერთმანეთს ქალები ეჯიბრებოდნენ. ჯერ გერმანელმა საბინე ფელკერმა აჩვენა შედეგი 1.14,14, რომელიც გასულ კვირას ამერიკელი კრის უიკომბის დამყარებულ მსოფლიო რეკორდს 0,41 წამით სჯობდა. მაგრამ ფელკერის რეკორდმა მხოლოდ 5 წუთი გაძლო: ეს დრო გააუმჯობესა სხვა გერმანელმა ქალმა — გარბრეხტ-ენფელდმა, რომელმაც რეკორდი ერთი მეათასედი წამით მოხსნა.

## ტრამპლინიდან ხტომა

### მალიში არ ხუმრობს



პოლონელმა მხტომელმა ადამ მალიშმა (სურათზე) მსოფლიო თასზე მეათედ გაიმარჯვა. მისი შედეგი (116 და 138,5 მეტრი) საკმაოდ შთამბეჭდავია. 23 წლის მალიში გახდა პირველი პოლონელი, ვისაც აქამდე ღირსებია მსოფლიო თასის მოგება. ტრონდჰეიმში მეორე ადგილზე გავიდა ავსტრიელი ანდრეას გოლდბერგერი, ხოლო მესამეზე – 17 წლის სლოვენიელი იგორ მედვედი.

გუშინ მსოფლიოს უძლიერესი ტრამპლინიდან მხტომელები საასპარეზოდ ჰოლმენკოლენში გადავიდნენ. უამინდობის გამო მსოფლიო თასის ეს ეტაპი შემოკლებული პროგრამით გაიმართა: სპორტსმენებმა ორის ნაცვლად მხოლოდ თითო ხტომა შეასრულეს. ისევე, როგორც წინა დღეს, ჩემპიონის ტიტული მოიპოვა პოლონელმა ადამ მალიშმა. მისი შედეგია 124 მეტრი.

## გიგანტური სლალომი

შვედეთის დაბა არეში ქალებმა მსოფლიო თასის დასკვნითი ეტაპი გაითამაშეს გიგანტურ სლალომში. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ასპარეზობა მოიგო მსოფლიოს რჩეულმა მოთხილამურემ 28 წლის შვეიცარიელმა სონია ნეფმა.



## ველორბოლა



### მატანი „პარიზი-ნიცას“ ჩაუდგა სათავეში

საფრანგეთში სტარტი აიღო პრესტიჟულმა მრავალდღიანმა ველორბოლამ „პარიზინიცა“, რომელიც 68-ედ ტარდება. ასპარეზობის პირველ დღეს 6,2- კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად დაფარა ბელგიელმა ნიკო მატანმა (სურათზე) — 7,48. მას 0,08 წამით ჩამორჩა ბრიტანელი დევიდ მილარი.

# ბორჯღალოსნები თბილისში 13 მარტს შეიკრიბებიან

ესპანეთი პორტუგალიასთან შედარებით, უფრო სერიოზული მეტოქე რომაა, ცხადია. „ბორჯღალოსანთა“ ფრანგი გურუ კლოდ სორელი ბიჭებს უკვე სამშაბათს, 13 მარტს მოუყრის თავს თბილისში. შეიკრიბება ვრცელი, 30 კაცა რაზმი, რომლისგანაც მატჩის წინა დღით აირჩევა 22-კაცა გუნდი: 15 დამწყები და შვიდიც მარქაფა.

ბედად, აქამდე დაშავებული ქართველები ტრავმებს დროით იშუშებენ, და უჩაუქესი მარბიელი გია ლაბაძეც რუსეთთან მხოლოდ ათი წუთით და არა ბოლომდე, როგორც გვეგონა, გაუძევებია მსაჯს. ასე რომ, „ბორჯღალოსნები“ წლის მეორე და ბოლო (!) საშინაო მატჩს საუკეთესო შემადგენლობით გამართავენ.

თუმც შემდეგი თამაში ესპანეთთანაა, რაგბის ფანობის აზრი უკვე რუმინეთთან გადამწყვეტ შებმას დასტრიალებს, რომელიც 17 მარტიდან სამი კვირის თავზე, 7 აპრილს, ბუქარესტში უნდა გაიმართოს.

ეს მატჩი, ისევე როგორც „ერთა თასის“ ყველა სხვა თამაში, თავიდან კვირა დღისთვის იყო დანიშნული, მაგრამ რუმინეთის რაგბის ფედერაცია (ფრრ) ამ ორი კვირის წინ ეაჯა საქართველოს რაგბის კავშირს (სრკ), თქვენი კეთილი ნება თუ არ იქნა, მატჩს ჩვენი ტელევიზია ვერ გადმოსცემს, რადგან 8 აპრილს მთელს ქვეყანაში ერთადერთი მოძრავი სატელევიზიო სადგური საბჭოურ ტელე-ჟარგონზე (პე-ტე-ეს) საკლუბო ფეხბურთზე იქნება გამწესებულიო.

სრკ-მა რუმინელებს გულის ვარამი გაუგო და დაყაბულდა, მაგრამ ამ ხუთშაბათს შეიტყო, რომ მეტოქემ იცრუა: სწორედ იმის გამო, რომ თამაში კვირიდან შაბათს გადმოგვატანინეს, მას ტელევიზია ვეღარ აჩვენებს, რაკი ფეხბურთი რუმინეთში შაბათს ყოფილა და არა კვირას.

თამაშის გადმოტანის თაობაზე ჩვენს რაგბის კავშირთან ფრრის გენერალური მდივანი, ხაჩიკ გარაბეტი თბილის ქალაქურად („კარაპეტიანი“) აწარმოებდა მოლაპარაკებას. დუმნია ხაჩიკმა უთუოდ იფიქრა, ქართველებს თუ თამაშის გადმოტანის ნამდვილ საბაბს თავიდანვე გავუმხელთ, არ დამეთანხმებიანო.

ჭეშმარიტი მიზეზი კი რუმინელთა ბანაკში ამტყდარი ამბოხია.

„მუხის ფოთლებმა“ წინა ტურში მაჩანჩალა ჰოლანდია რომ დაანგრიეს, თითომ 500 ამერიკული დოლარი მოითხოვა პრემიად. ფრრ-მა მართებულად დაასკვნა, რომ გამარჯვებულებს, რომელთა შორის 11 ფრანგი ლეგიონერი იყო, ამდენი არ ეკუთვნოდათ და უარი უთხრა.

მამლუქები გაიბუტნენ. მათი ძაან მაგარი 9 ნომერი პეტრე მიტუ კაპიტნობიდან გადადგა ბებერი გარე ბეკის, გეორგე სოლომიეს სასარგებლოდ, მაგრამ ამანაც შორს დაიჭირა ნაკრების ყოჩობა, რაკი აღებული ჯილდო მასაც ეცოტავა.

ამთავითვე შევნიშნოთ, რომ ბობოლა რუმინელი მოთამაშეები ფრრ-ს ბოლო წლებში მუდმივად აშანტაჟებენ. მათ საამისოდ ფრიად აგულიანებენ ფრანგული კლუბები, რომლებსაც რუმინეთის ნაკრები რუმინელ მორაგბეებზე კიდევ უფრო ნაკლებად ადარდებთ.

ახლა ირკვევა, რომ ბატონმა გარაბეტმა, მაგრამ არა საქართველოს რაგბის კავშირმა, დროით უწყოდა, რომ საფრანგეთის ჩემპიონატში სამშაბათს, 10 აპრილს ტური ჩაამატეს.

თუ საქართველოსთან „მუხის ფოთლებს“ 8 აპრილს მოუწევდათ თამაში, მაშინ ულეგიონერებოდ დარჩებოდნენ, რადგან ერთი რომ, მათ კლუბები არ გამოუშვებდნენ, და მეორეც, თუ მაინც გამოუშვებდნენ, მაშინ ახლა უკვე თავად ბიჭები დაუწყებდნენ ფულის გამოძალვას საკუთარსავე რაგბის მამებს.

ჰოდა, საზრიანმა ხაჩიკმა ვრაცუებს ტყუილი მიზეზი მოახსენა. ახლა რუმინეთი ალბათ საუკეთესო გუნდს შეკრებს, მაგრამ თამაშს ტელევიზიით ვერც კარპატეთში უყურებენ და ვეღარც კავკასიაში.

და რა რეაგირება მოახდინა ყოველივე ამაზე საქართველოს რაგბის კავშირმა?

ვაკის ოფისმა ხაჩიკს კიდევ დაუდასტურა, 7 აპრილს თამაშზე ყაბულსა ვართ, მაგრამ ნეტავ შეპირებული ტელერეპორტაჟის საქმე როგორ არისო.

არც გაემტყუნება რაგბის კავშირს. ჩვენებს მართალი და პირდაპირი გზით სიარული ჩვევიათ.

აკი პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ შენიშნა, დაე რუმინეთმა შეკრიბოს ყველა, ვინც კი სურს. თუ ჩვენი „ბორჯღალოსნები“ საუკეთესო შემადგენლობით მოთამაშე რუმინეთს ძლევენ, მაშინ ალალი და ნაღდი ჩემპიონები ვიქნებით, თორემ გამოხშირული მეტოქის მორევა ჩვენი წესი არ არის და საამისოდ რომც ვიმუშოთ, ეგებ ჩვენმავე მოთამაშეებმა შეგვაჩვენონო.

კეთილი და პატიოსანი! ისევე როგორც რუსეთთან პაექრობაში, აქაც კარგად ჩანს, რომ საქართველოს რაგბის კავშირი რაგბის მარადიულ ფასეულობებს ყოველგვარ ვირეშმაკულ ანგარიშიანობაზე წინ აყენებს.

**ზაალ ბიბინეიშვილი**

# ნორჩმა ინგლისელმა ლედიმ დაჯაბნა „ზღვის მგლები"...

23 წლის ელენ მაკარტური ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობებს იწვევს: აღტაცებას, გაკვირვებასა და... უნდობლობას. სულ რამდენიმე წელიწადში ამ ბიჭურად შეკრეჭილმა ვარდისფერლოყება მინიატურულმა არსებამ (ელენის სიმაღლე 156 სმ-ია) თავბრუდამხვევ აღმავლობას მიაღწია. თავმდაბალ ინგლისელს აღმოაჩნდა გასაოცარი უნარი ეულად შებრძოლებოდა ზღვის სტიქიას, უცებ იქცა ინგლისური პრესისათვის ნამდვილ გმირად. საკვირველია, მაგრამ ექვსი წლით წინათ სცადა ძალა ერთეულთა რბოლაში ბრიტანეთის კუნძულების გარშემო და უკვე აფროსნობის უმაღლეს მწვერვალს მისწვდა, მხოლოდ ერთი დღე-ღამე დააკლდა წლევანდელი რეგატის მოსაგებად, რომელიც რბოლის „პროფესორს" მიშელ დეჟუაიეს დაუთმო. ამასთან, უკან ჩამოიტოვა არანაკლებ ტიტულოვანი ფრანგი აფროსნები და მათ შორის ლეგენდარული თანამემამულე მაიკ გოლდინგი. კომეტასავით აფრინდა და დამკვიდრდა ერთეულ-ზღვაოსანთა კლუბში და გაუსწორდა ელიტარულ კონტინგენტს. ამიტომაც უკვირდა ბევრს მისი წარმატება და ფინიშის შემდეგ არ მალავდნენ გაკვირვებას: „როგორ შეიძლება მის ასაკში ამდენის შესწავლა და ასე მტკიცედ სვლა მიზნისკენ?"

18 წლისამ ბრწყინვალედ ჩააბარა იალქნიანი იახტის კაპიტნის გამოცდები და „წლის ახალგაზრდა მეზღვაურად" აირჩიეს. ორი წლის შემდეგ საფრანგეთის სანაპიროზე დაიწყო მზადება ტრანსატლანტიკური რეგატისათვის, ელენი მსოფლიოს გარშემო რბოლას ახალ ზელანდიაში შეუდგა და რამდენიმე თვეში მანძილის ნახევარი განვლო. ჯერ იყო ამ უნიკალური რბოლის პირველი ეტაპი — „ევროპის რბოლა", შემდეგ „ტრანსატი", „ფესტნეტი", ევროპის ჩემპიონატი „ლაზერის" კლასში, ბრიტანეთის ტური და ბოლოს გამარჯვება ინგლისის ერთეულთა რეგატაში. „იგი რეაქტიულ მანქანასავითაა, დაუღალავი, გამონაკლისი პიროვნებაა, — აღიარა ივ პარლიემ. — ჩემს კარიერაში ასეთი ფენომენი ჯერ არ შემხვედრია. ამ ქალს ნებისმიერი მამაკაცის ძლევა შეუძლია". და მან სძლია კიდეც პარლიესა და სხვა ვარსკვლავებს, მხოლოდ დეჟუაიეს დაუთმო პირველობა.





## მსოფლიო თასი სწრაფ ჭადრაკში

21-25 მარტს კანში (საფრანგეთი) ჩატარდება მსოფლიო თასის გათამაშება სწრაფ ჭადრაკში. დროის კონტროლი ასეთია: 25-25 წუთი თითოეულს 50 სვლაზე, შემდეგ კი ათი წამი ყველა მომდევნო სვლაზე.

ის დიდოსტატები, რომლებიც კანში თამაშობენ, ორ წინასწარ ჯგუფში გაანაწილეს: „ჯგუფი A" — გარი კასპაროვი, ევგენი ბარეევი, პეტრე სვიდლერი, ალექსანდრ გრიშჩუკი (ოთხივე — რუსეთი), იუდით პოლგარი (უნგრეთი), ჟოელ ლოტიე, კრისტიან ბაუერი (ორივე — საფრანგეთი), იასერ სეირავანი (აშშ), „ჯგუფი B" — მაიკლ ადამსი (ინგლისი), ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი), მიხაილ გურევიჩი (ბელგია), რუსტემ კასიმჯანოვი (უზბეკეთი), ე. ციანჩუანი (ჩინეთი), ვლადისლავ ტკაჩევი, ეტიენ ბაკრო (ორივე — საფრანგეთი), ჰასან ჰამდუჩი (მაროკო).

ამ წინასწარი ჯგუფების შედეგების მიხედვით 4-4 უძლიერესი ბრძოლას ნოკაუტ-სისტემით გააგრძელებს.

## ტოტო ლოტო №09 ტირაჟის შედეგები 10-11.03.2001

**ლოტო 6-42** 1 4 18 19 35 36

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6 რიცხვი | 0 | x | 4587.60 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 5 რიცხვი | 0 | x | 386.30 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 4 რიცხვი | 11 | x | 11.20 ლარი | |
| 3 რიცხვი | 107 | x | 2.00 ლარი | |

**სუპერ 7** 9 2 6 2 9 0 8

| | | | |
|---|---|---|---|
| 9262908 --- | 50,000 ლარი | 908 --- | 50 ლარი |
| 262908 --- | 15,000 ლარი | 08 --- | 3 ლარი |
| 62908 --- | 5,000 ლარი | 8 --- | 0.50 ლარი |
| 2908 --- | 500 ლარი | | |

**ტოტო ფეხბურთი 12 მატჩი** 1X1 11X 2X2 X1X

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 შედეგი | 0 x | 15144.50 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 11 შედეგი | 0 x | 599.20 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 10 შედეგი | 2 x | 153.00 ლარი | |

№10 ტირაჟის პროგრამა (17-18. 03. 2001)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | ინგ. | მანჩესტერ იუნ – ლესტერი | 60-20-20 |
| 2. | ინგ. | ჩარლტონი – ლიდსი | 40-30-30 |
| 3. | ინგ. | ბრედფორდი – მანჩესტერ სიტი | 20-40-40 |
| 4. | იტა. | რეჯინა – რომა | 10-30-60 |
| 5. | იტა. | ლეჩე – ინტერი | 30-40-30 |
| 6. | იტა. | უდინეზე – პარმა | 40-40-20 |
| 7. | გერ. | დორტმუნდი – ლევერკუზენი | 40-30-30 |
| 8. | გერ. | კოტბუსი – ჰერტა | 30-30-40 |
| 9. | გერ. | უნტერჰახინგი – შტუტგარტი | 30-40-30 |
| 10. | ესპ. | ლას პალმასი – დეპორტივო | 20-20-60 |
| 11. | ესპ. | ნუმანსია – ბარსელონა | 20-30-50 |
| 12. | ესპ. | მალიორკა – რეალი | 30-40-30 |

**ტოტო ფეხბურთი 11 მატჩი** XX1 11X 21X 11

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 შედეგი | 0 x | 155.60 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 10 შედეგი | 1 x | 58.50 ლარი | |
| 9 შედეგი | 16 x | 1.10 ლარი | |

№ 10 ტირაჟის პროგრამა (17-18. 03. 2001)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | გერ. I | დორტმუნდი – ლევერკუზენი | 40-30-30 |
| 2. | გერ. I | მიუნხენ 1860 – ბაიერნი | 30-30-40 |
| 3. | გერ. I | ვერდერი – კაიზერი | 40-30-30 |
| 4. | გერ. I | აინტრახტი – ჰამბურგი | 30-40-30 |
| 5. | გერ. I | შალკე – ფრაიბურგი | 50-30-20 |
| 6. | გერ. I | ჰანზა – ბოხუმი | 50-30-20 |
| 7. | გერ. I | კოტბუსი – ჰერტა | 30-30-40 |
| 8. | გერ. I | უნტერჰახინგი – შტუტგარტი | 30-40-30 |
| 9. | გერ. II | ნიურნბერგი – ფიურტი | 40-30-30 |
| 10. | გერ. II | ობერჰაუზენი – ულმი | 40-30-30 |
| 11. | გერ. II | ალენი – მიონხენგლადბახი | 30-30-40 |

## სპორტული ლოტო №09 ტირაჟის შედეგები 11.03.2001

| სვლა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოგებაში ვარდნილი რიცხვები | 14 | 6 | 13 | 22 | 11 | 4 | 1 | 18 | 23 | 7 |
| სვლა | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| მოგებაში ვარდნილი რიცხვები | 10 | 19 | 16 | 9 | 21 | 17 | 24 | 15 | 5 | 2 |
| მოგებული თანხა | | 10,000 ლარი | 1,000 ლარი | 100 ლარი | 50 ლარი | 10 ლარი | 5 ლარი | 2 ლარი | 1 ლარი | 2 ბილეთი |
| გაუთამაშებელი რიცხვები | 3 | 8 | 12 | 20 | | | | | | |

დალი მელიქიძე (გორი), მალხაზ დიკანოიძე (თბილისი)

## ქალას ინტერნეტი დაუბრუნებს?

ბერლინის ჟურნალ „შახის" კორესპონდენტმა სან-პაულუში ერთი პოპულარული დიდოსტატი მოინახულა, რომელიც თავის დროზე მსოფლიო ჩემპიონობის უახლოეს პრეტენდენტად და საბჭოთა მოჭადრაკეების სახიფათო მეტოქედ ითვლებოდა, შემდეგ კი, სადღაც გაუჩინარდა. ლაპარაკია 48 წლის ენრიკე მეკინგზე. რატომ დაუბრუნდა ახლა იგი ჭადრაკს?...

● ***რატომ ჩამოშორდით ჭადრაკს?***

— 1977 წელს მძიმედ დავავადდი: ავადმყოფობას „მძიმე მიასტმა" ჰქვია. იგი მთლიანად გადუნებს და ძალას გართმევს. 1978 წლიდან ვმკურნალობდი ტეხასის შტატის ქ. ჰიუსტონის ჰოსპიტალში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1979 წლიდან მძიმე კრიზისი მქონდა, სახსრები მტკიოდა, ხელ-ფეხს რიგიანად ვერ ვამოძრავებდი. ყველა ჩემი ახლობელი ფიქრობდა, რომ დიდხანს სიცოცხლე აღარ მეწერა, მაგრამ აი სასწაული მოხდა და გამოვჯანმრთელდი, რის შემდეგ ჭადრაკს დავუბრუნდი კიდეც.

● ***რა არ მოგწონთ, დღევანდელ ჭადრაკში?***

— ყველაზე ძალიან არ მომწონს უამრავი ყაიმი დიდი თუ მცირე მასშტაბის შეჯიბრებებში. ბევრ დებიუტში ისეთი პოზიციები იქმნება, რომელსაც პირდაპირ მივყავართ საყაიმო შედეგისაკენ.

● ***სამომავლოდ საჭადრაკო როგორ მიზნებს ისახავთ?***

— ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საშუალება არა მქონდა ჭადრაკი მეთამაშა. ჭადრაკს მხოლოდ ახლა, აგვისტოში დავუბრუნდი. საჭიროა დებიუტების ხელახლა შესწავლა, საფუძვლიანი ანალიზი, მე ვაპირებ ჩემი თეორიული ცოდნის გაღრმავებას, რათა მომავალ შეჯიბრებებში წარმატებით გამოვიდე. გასაგებია, ვისაც მთელი ხუთი წლის განმავლობაში არ უთამაშია, მას ბევრი რამ დაავიწყდებოდა კიდეც. მე დიდ იმედებს ვამყარებ ინტერნეტზე და მისი შემწეობით გათამაშებულ პარტიებზე. უკვე მოველაპარაკე რამდენიმე კარგად ცნობილ დიდოსტატს. დავიწყე კიდეც თამაში. უკვე ვითამაშე 23 პარტია და ჩემი რეიტინგი მთელი 500 პუნქტით (ქულით) გავაუმჯობესე. ისე რომ, იმედი მაქვს ინტერნეტით თამაშით აღვიდგინო ადრინდელი ძალა.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**13 მარტი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (10.25), ***რუსთავი-2.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (02.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (20.00), ***მე-9 არხი.*** (20.00), ***VII არხი.*** სპორტული ინფორმაცია (09.20, 18.25, 22.25), საფეხბურთო მიმოხილვა (19.55), ***НТВ.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „მილანი" – „დეპორტივო" (23.35), მიმოხილვა (02.15), ***ESPN.*** ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (10.00, 17.30), იტალიის ჩემპიონატი (12.00, 19.00), ჩემპიონთა ლიგა, პირდაპირი (23.30), მიმოხილვა (02.00). კრივი, მუჰამედ ალი – ჩემპიონი (22.00), კალათბურთი. ნბა „ორლანდო მეჯიკი" – „საკრამენტო კინგსი" (05.00), ***EUROSPORT.*** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (14.00), ფეხბურთი. ევროგოლები (15.00), ციგურაობა. მსოფლიო თასი (22.00), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი (13.15, 17.30), გერმანიის (19.30), ესპანეთის (22.40) ჩემპიონატების მიმოხილვა. ჩემპიონთა ლიგა: „მანჩესტერი" – „შტურმი" (23.40), პსჟ – „გალათასარაი" (01.45).

**14 მარტი. ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა „ბაიერნი" – „არსენალი" (23.40), მიმოხილვა (02.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (20.00), ***მე-9 არხი.*** ფეხბურთი. ევროპის სტადიონებზე (11.05, 20.00), ***VII არხი.*** სპორტული ინფორმაცია (09.20, 18.25, 22.25), საფეხბურთო მიმოხილვა (19.55), ***НТВ.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა „სპარტაკი" – „ლიონი" (21.45), ***ESPN.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (08.30, 19.00) კალათბურთი. ნბა (14.00), ***EUROSPORT.*** ციგურაობა.მსოფლიო თასი (14.30), ***НТВ плюсфутбол.*** ჩემპიონთა ლიგა: „მილანი" – „დეპორტივო" (15.00), პსჟ – „გალათასარაი" (15.00), „ვალენსია" – „პანათინაიკოსი" (18.00), „ბავარია" – „არსენალი" (21.50), „ლიდსი" – „ლაციო" (23.40), „ანდერლეხტი" – „რეალი" (01.45). ესპანეთის (16.40), იტალიის (21.00) ჩემპიონატების მიმოხილვა.

**15 მარტი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი: „აზოტი" – „მაქაბი" (17.00), რუსთავი-2. ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (08.30), ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი (20.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.05), ***VII არხი.*** სპორტული ინფორმაცია (09.20, 18.25, 22.35), საფეხბურთო მიმოხილვა (19.55), უეფას თასი (23.00). ***ESPN.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (12.00, 19.00), ***EUROSPORT.*** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი (13.30), პროფესიული კრივი (23.30), ფეხბურთი. უეფას თასი (02.15), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა: „სპარტაკი" – „ლიონი" (13.15), „ბავარია" – „არსენალი" (14.55), „ლიდსი" – „ლაციო" (16.35), „ანდერლეხტი" – „რეალი" (19.25), მიმოხილვა (23.00) ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (01.15). ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (22.50), ბრძოლა წესების გარეშე (23.35).

## კროსვორდი №20



**თარაზულად:** 4. იტალიის კლუბი, 6. ახლო წარსულში საფრანგეთში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელი, 9. XX საუკუნის დასაწყისში ცნობილი გერმანელი მოჭადრაკე, 11. შეჯიბრებისათვის მზადების ეტაპი, 12. კურორტი საქართველოში, 14. ცურვის ყაიდა, 16. ახლო წარსულში სკანდინაველი მოთხილამურე, 19. სპორტის სათამაშო სახეობა, 21. ოზურგეთის საფეხბურთო კლუბი. 22. შედეგი სპორტში, 23. ებრაელთა სპორტული თამაშები, 24. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 27. შეჯიბრება მიმოსვლით, 29. წარსულში ბრაზილიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 30. ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი, 31. პორტუგალიელი ფეხბურთელი რიკარდო სა ..., 33. „ნისლიანი...", 35. საჭადრაკო პარტიის ნაწილი, 36. სათხილამურო სპორტის სახეობა, 37. შეჯიბრებაში დაწინაურებული, 38. მხატვრული ტანვარჯიშის იარაღი.

**შვეულად:** 1. სპორტის სახეობა, 2. ნბა-ს ვარსკვლავი, 3. ქართველი ვეტერანი ველმრბოლი, 5. რჩეული გუნდი, 7. ტოტალიზატორის სახეობა, 8. სპორტსმენის ან გუნდის მიღწევა, 10. წარსულში ბრაზილიელი ფეხბურთელი, 13. სომხეთის საფეხბურთო კლუბი, 15. ჰოლანდიის კლუბი, 17. გერმანიის კლუბი, 18. ბრაზილიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 20. ორმაგი მიღწევა ფეხბურთში, 25. ილეთი ჭიდაობაში, 26. ჩეხეთის კლუბი, 28. სტადიონი ინგლისში, 29. ბრაზილიელი ფეხბურთელი მცველი, 32. „მილანის" ქართველი ლეგიონერი, 34. მშვილდოსნობის იარაღი, 35. მარადონას სახელი.

## №19 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 4. სტარტი, 6. ლიდერი, 9. მუსტერი, 11. გლისერი, 12. ანტალია, 14. ნარდი, 16. „იმედი", 19. ტაიჭი, 21. ოპრია, 22. რაი, 23. სნოუბორდი, 24. რუი, 27. ტრეკი, 29. ბეილი, 30. მარაო, 31. შირეა, 33. ილურიძე, 35. ბასტენი, 36. დუმბაძე, 37. სივორი, 38. აკუნია. **შვეულად:** 1. სტამი, 2. „ბასტია", 3. ფილია, 5. ტაისონი, 7. რომარიო, 8. „ალანია", 10. ლიბერო, 13. ატლანტა, 15. დრონოვა, 17. მალდინი, 18. შამუგია, 20. ბუბკა, 25. მედალი. 26. ზიდანი, 28. „იმერეთი", 29. ბარტეზი, 32. „ციბონა", 34. ედერი, 35. ბენკო.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. გამულაშვილი




შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. d4 c6 2. d5 cd. 3. კ4 de 4. კe3 ef. 5. კd2 Fex.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.